შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის

სასწავლო უნივერსიტეტი

სამართლის ფაკულტეტი

თემა ნივთიერ მტკიცებულებათა სახეები სისხლის სამართალწარმოებაში

ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სტუდენტი: **ლიკა ფუტკარაძე**

ნაშრომის ხელმძღვანელი:

პროფესორი **შენგელი ფიცხელაური**

თბილისი

2019

შინაარსი

ანოტაცია ---------- 3

Annotation ---------- 4

შესავალი ---------- 5

თავი 1. ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა ---------- 7

თავი 2. პრობლემის კვლევა/ანალიზი ---------- 13

2.1 მტკიცებულებათა ცნება და სახეები სისხლის სამართლის პროცესში ------- 13

2.1.1 სასამართლო მტკიცებულებათა წარმოშობა ---------- 13

2.2მტკიცებულებათა ცნება და სახეები ---------- 18

2.2.1 ბრალდებულის ჩვენება ---------- 24

2.2.2მოწმის ჩვენება. ირიბი ჩვენება ---------- 28

2.2.3 ნივთიერი მტკიცებულება. დოკუმენტი ---------- 31

2.2.4 ექსპერტის დასკვნა ---------- 34

2.3 ნივთიერ მტკიცებულებათა ცნება და სახეები ---------- 37

2.3.1 დანაშაულის იარაღი და საშუალება. დანაშაულებრივი ქმედების საგანი -37

2.3.2 დანაშაულებრივი ქმედების შედეგად დარჩენილი კვალი. დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ფული და ფასეულობა ---------- 42

2.4 ნივთიერ მტკიცებულებათა შეკრების, გამოკვლევისა და შეფასების პროცესუალური ასპექტები ---------- 51

2.4.1 ნივთიერ მტკიცებულებათა შეკრების საპროცესო ხერხები და საშუალებები ---------- 51

2.4.2 ნივთიერ მტკიცებულებათა შეფასება და ბედის განსაზღვრა ---------- 57

კვლევის შედეგები ---------- 61

დასკვნა ---------- 65

გამოყენებული ლიტერატურა ---------- 68

ანოტაცია

ჩემს მიერ წარმოდგენილი ნაშრომის მიზანს წარმოადგენს, ნივთიერ მტკიცებულებათა სახეების ანალიზი და მიმოხილვა ქართული სისხლის სამართალწარმოების მიხედვით, რომელიც მუდმივად განიცდის ცვლილებებს. სწორედ ნივთიერ მტკიცებულებებზეა აგებული მთელი გამოძიების და სასამართლო პროცესი. ამიტომ ეს თემა აქტუალურობას არ კარგავს და მუდმივადაა სამართლის სფეროში თუ საზოგადოებაში დავისა და განხილვის საგანი.

ნაშრომი წარმოდგენილია 70 კომპიუტერული ნაბეჭდი გვერდის სახით, რომელიც მოიცავს შესავალს, სამ თავს, რომლებიც შემდგომ დაყოფილია ქვეთავებად, ასევე დასკვნასა და გამოყენებულ ლიტერტურას.

პირველი თავი ეძღვნება ლიტერატურის მიმოხლვას, რომელშიც მოკლედ არის აღწერილი ის ძირითადი ლიტერატურა, რომელიც გამოყენებულია მოცემული ნაშრომის უკეთ წარმოსაჩენად. მეორე თავში განხილულია სასამართლო მტკიცებულებათა წარმოშობისა და განვითარების ასპექტები სისხლის სამართლის პროცესში, აგრეთვე წარმოდგენილი მაქვს მტკიცებულებათა ცნება და არსი, აგრეთვე კონკრეტულ მტკიცებულებათა სახეები,როგორებიცაა ბრალდებულის ჩვენება, მოწმის ჩვენება, ირიბი ჩვენება, დოკუმენტი და ექსპერტის დასკვნა. მესამე თავში საუბარია დანაშაულის იარაღზე და დანაშაულებრივი ქმედების შედეგად დარჩენილ კვალზე. მოცემული თავი ეძღვნება ნივთიერ მტკიცებულებათა შეკრების, გამოკვლევისა და შეფასების პროცესუალურ ასპექტებს, ასევე დეტალურადაა განხილული შეკრების საპროცესო ხერხები და საშუალებები. ბოლო თავში წარმოდგენილია კვლების შედეგები, რომლებიც ეხება წინა თავში წამოჭრილი პრობლემების ანალიზს.

მოცემული ნაშრომი სრულად ეყრდნობა საქართველოს კანონმდებლობას. ნაშრომის ინფორმაციულ ბაზას ასევე შეადგენს სხვადასხვა მეცნიერთა ნაშრომები

და სტატიები, სასწავლო ლიტერატურა და ინტერნეტ სივრცეში არსებული სხვადასხვა მასალა.

Annotation

The purpose of the work presented by me is to analyze the types of substance evidence and review of the Georgian criminal proceedings that are constantly changing. It is on the substantive evidence that the whole investigation and the trial. Therefore, this topic does not lose its topicality and is constantly in the field of law or discussion in society.

The paper is presented in the form of 70 printed pages that include the introduction of the three, which are subsequently divided into subtitles, the conclusion and the used literature.

The first chapter is dedicated to the study of literature, which briefly describes the basic literature used to better understand the work. The second chapter deals with the aspects of origin and development of judicial evidence in the Criminal Procedure, as well as the concept and essence of evidence, as well as the types of concrete evidence, such as the testimony of the defendant, the testimony of the witness, the indirect testimony, the document and the expert's conclusion. The third chapter speaks about the crime of the crime and the traces of the crime. This chapter is dedicated to the processual assemblies, examination and evaluation of substantive evidence, as well as procedural methods and means of gathering. The last chapter presents the results of the kilograms that deal with the analysis of the problems in the previous chapter.

This work is fully based on the Georgian legislation. The information base of the work is also composed of works of various scientists and articles, educational literature and various material in the Internet space.

შესავალი

ნაშრომში წამოჭრილი საკითხები თავისი დანიშნულებითა და იურიდიული ბუნებით უაღესად აქტუალურია. დანაშაულის ჩადენას ყოველთვის წარსულ დროში აქვს ადგილი, ამიტომ აღნიშნულ გარემოებათა დადგენა და აღდგენა მტკიცების მეშვეობით ხდება. მოვლენები და ფაქტები ყოველთვის ტოვებენ მატერიალური ან იდეალური სახის კვალს. ცნობილი ფაქტების საფუძველზე კი ხდება უცნობი ფაქტების დადგენა. აღნიშნული პროცესი კი თავისთავად წარმოადგენს მტკიცებას. წარსულში მომხდარი მოვლენების მტკიცება, დადგენა არის მეცნიერების მრავალი სფეროს ამოცანა, მაგრამ სისხლის სისხლის სამართლის პროცესში ინფორმაცია ასეთი სახის მოვლენებზე იქცევა სამართლებრივად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების საფუძვლად.

ნებისმიერ სამართლებრივ სახელმწიფოში ადამიანსა და ხელისუფლებას შორის არსებობს მკაფიო და სტაბილური დამოკიდებულება, ხელისუფლება შეზღუდულია როგორც ადამიანის უფლებებით, ასევე უშუალოდ მოქმედი სამართლის კანონმდებლობით. ასეთ სახელმწიფოში ნებისმიერ ადამიანს შეუძლია იმის ცოდნა, თუ როგორი იქნება სახელმწიფოს რეაქცია მის ქმედებაზე, ვინაიდან ხელისუფლებას მართავენ არა თანამდებობის პირები, არამედ კანონები.

დღევანდელი სისხლის სამართლის პროცესი საქართველოსა და მსოფლიოს სამართლებრივი სისტემები მუდმივად განიცდიდა და დღესაც განიცდის ცვლილებებს. ქვეყნებში ტარდება სხვადასხვა სახის რეფორმები. საქართველოში სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის რეფორმა მუდმივად

გრძელდება, ჩნდება ახალი დანაშაულებები, იზრდება მანამდე არსებული დანაშაულების მასშტაბები.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მიღებულ იქნა 2009 წელს. იგი მთლიანად მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპზეა აგებული და ახლებურად არეგულირებს სისხლის სამართლის პროცესის მხარეთა მიერ მტკიცებულებათა მოპოვების, დასაშვებობისა და სასამართლოს მხრიდან მათი შეფასების წესებს. შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარე, სასამართლო ახორციელებს ნეიტრალური არბიტრის ფუნქციას, ხოლო ბრალდებისა და დაცვის მხარეები თანასწორნი არიან მტკიცებულებათა მოპოვება, წარდგენასა და გამოკვლევაში. მოცემული კოდექსი ამოქმედდა 2010 წლის ოქტომბერში, დღემდე არაერთი ცვლილება განიცადა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მტკიცებულებათა წესებთან დაკავშირებული ერთიანი პრაქტიკის ჩამოყალიბება დღემდე ვერ ხერხდება.

მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხს, სისხლის სამართლის პროცესში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან სწორედ წარდგენილ მტკიცებულებებზეა დამოკიდებული, რა შედეგით დასრულდება საქმე – გამოტანილი იქნება გამამართლებელი, თუ გამამტყუნებელი ვერდიქტი. მაგრამ იგი იწვევს ბევრ პრობლემასაც. აქედან გამომდინარე, სისხლის სამართლის საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში თითოეული მტკიცებულების დასაშვებობის შეფასებას შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭოს და მან მხარისთვის გამოუსწორებელი შედეგი გამოიწვიოს იმ გაგებით, რომ განაჩენი დაეყრდნოს დაუშვებელ მტკიცებულებებს.

თემის აქტუალურობა: მტკიცებულება სისხლის სამართლის პროცესში უმნიშვნელოვანესი მონაპოვარია. მთელი სისხლის სამართლის პროცესი აწყობილია მტკიცების პროცესზე . შეუძლებელია მტკიცებულებების გარეშე სისხლის სამართლის საქმის მოძრაობა. სასამართლოშიც საქმის განხილვა ემსახურება მტკიცებულების შეფასებას. სასამართლოში მოსამართლის განაჩენი სწორედ მტკიცებულებებზე დაყრდნობით გამოაქვს. სისხლის სამართლის პროცესში

ბრალდების მხარის ვალდებულებაა, რომ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით მოპოვებული იქნას რაც შეიძლება მეტი მისთვის აუცილებელი ინფორმაცია, უდანაშაულოდბის პრეზუმპციიდან გამომდინარე კი დაცვის მხარეს ამის ვალდებულება არ გააჩნია. დაცვის მხარის მიზანი მისივე სურვილის მიხედვით შეიძლება იყოს მისთვის გამოსადეგი ინფორმაციის მოპოვება, თუმცა აქ ვალდებულებებზე საუბარი გამორიცხულია.

საკვლევი თემის აქტუალობაც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მტკიცებულება ერთადერთი საშუალებაა, რომლითაც წარსულში მომხდარი დანაშაულებრივი ფაქტის აღდგენა და საქმეზე ჭეშმარიტების დადგენაა შესაძლებელი. მტკიცებულება - ეს არის ინფორმაცია, რომელიც ადასტურებს ან უარყოფს რაიმე ფაქტს ან მოვლენას.

ნაშრომის მიზნები და ამოცანები: ნაშრომის მიზანს წარმოადგენს სასამართლო მტკიცებულებათა წარმოშობისა და განვითარების ისტორიული ასპექტების ანალიზი სისხლის სამართლის პროცესში. აუცილებელია ნათლად წარმოაჩინოს, თუ რამდენად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მტკიცებულებებს მთელი გამოძიებისა და სასამართლო პროცესის მანძილზე. გარდა ამისა, იმის გარკვევა რა ფუნქციას ასრულებს სხვადასხვა სახის მტკიცებულებები სისხლის სამართლის საქმეში, რათა დეტალურად მოხდეს მტკიცების პროცესის ყველა ეტაპის განხილვა, რადგან სწორედ მტკიცებულება წარმოადგენს იმ უტყუარ საბუთს, რაზეც შემდგომში დამყარებული უნდა იქნეს მოსამართლის განაჩენი.

მოცემული მიზნების მისაღწევად კი ნაშრომში წარმოჩენილია შემდეგი ამოცანები:

- მტკიცებულებათა წარმოშობის და განვითარების ისტორიული ანალიზი;
- ნორმები, რომლებიც გათვლისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით სისხლის სამართლის პროცესში მტკიცებულებათა მოპოვების, დასაშვებობის და შეფასების თაობაზე;
- დანაშაულებრივი ქმედების შედეგად დარჩენილი კვლების განხილვა;
- ნივთიერ მტკიცებულებათა შეკრების, გამოკვლევისა და შეფასების პროცესუალური ასპექტების განხილვა/ანალიზი.

კვლევის მეთოდები: მოცემული კვლევის სრულყოფილად ჩატარებისათვის გამოყენებულ იქნა როგორც რაოდენობრივი, ისე თვისობრივი კვლევის მეთოდი. კვლევისათვის ინფორმაცია შეგროვებულია სხვადასხვა დამოუკიდებელი წყაროებიდან. ნაშრომში აგრეთვე გამოყენებულ იქნა ისტორიული, დოგმატური, შედარებით-სამართლებრივი, სტატისტიკური მეთოდები.

თავი I. ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა

ნივთიერი მტკიცებულებების სახეების შესახებ არსებობს საკმაოდ ვრცელი და მოცულობითი ლიტერატურა როგორც ქართულ, ისე საერთაშორისო სამართლებრივ ლიტერატურაში. მოცემული თემის მოცულობიდან გამომდინარე გამოვიყენე ის მასალა, რომელიც დამეხმარებოდა აღნიშნული თემის სრულყოფილად და მკაფიოდ ჩამოყალიბებაში.

მტკიცებულებებზეა აგებული მთელი გამოძიების და სასამართლო პროცესი. სწორედ ამიტომ ნივთიერი მტკიცებულებების შესახებ არსებობს საკმაოდ ვრცელი და მოცულობითი ლიტერატურა როგორც ქართულ, ისე საერთაშორისო სამართლებრივ ლიტერატურაში. მოცემული თემის მოცულობიდან გამომდინარე გამოვიყენე ის მასალა, რომელიც დამეხმარებოდა აღნიშნული თემის სრულყოფილად და მკაფიოდ ჩამოყალიბებაში.

წარსულში მომხდარი მოვლენებისა და ფაქტების შემეცნება და დადგენა მეცნიერების მრავალი სფეროს ამოცანაა, მაგ ისტორია, არქეოლოგია, მაგრამ სისხლის სამართლის პროცესში ინფორმაცია წარმოადგენს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების საფუძველს. სწორედ ამიტომ მათი მტკიცება

დეტალურად არის რეგლამენტირებული კანონმდებლობით და ეფუძნება სისხლის სამართლის პროცესის პრინციპებს. მტკიცებულებათა ცნების განსაზღვრას სისხლის სამართალში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ნაშრომში სისხლის სამართლის პროცესი, რ. გოგშელიძის რედ. დეტალურად აქვს განხილული მტკიცებულების ცნებაცა და მათი ცალკეული სახეები, აგრეთვე მტკიცების საგანი და ფარგლები, რაც ჩემი ნაშრომში არსებული საკითხების ანალიზისათვის მნიშნელოვან წყაროს წარმოადგენს. მისი ნაშრომი საკმაოდ მოძველებულია, მაგრამ იგი დამეხმარა უკეთ გამევლო პარალელი დღევანდელ მდგომარეობასა და 2008 წელს არსებულ მდგომარეობას შორის. გარდა ამისა ზემოთჩამოთვლილ საკითხებზე ამომწურავადაა ინფორმაცია წარმოდგენილი 2013 წლის მონაცემების გათვალისწინებით სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში ჯ.გახოკიძის და სხვ. რედაქტირებით.

გარდა აღნიშნული კომენტარისა, თემის შინაარსის სრულყოფილად გადმოსაცემად გამოყენებულია მალხაზ ლომსაძის ნაშრომი „სისხლის სამრთლის პროცესი“ (მეექვსე გდამუშავებული და შევსებული 2016 წლის გამოცემა), რომელიც ავტორმამიუძღვნა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებული ბრძოლებში დაღუპულთა ნათელ ხსოვნას, აგრეთვე გ.თუმანიშვილის 2014 წლის ნაშრომისისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა.

2010 წლის 1 ოქტომბრიდან ამოქმედდა საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელშიც დეტალურადაა რეგლამენტირებული ყველა საკითხი, რომელთა ვრცელი გამოკვლევა და ანალიზი მოცემულია ჩემს ნაშრომში. საქართველოს 2009 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარში კი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგ., ავტ. კოლექტივი, უფრო ფართოდაა წარმოდგენილი მტკიცებულებათა ცალკეული სახეები, როგორებიცაა ბრალდებულის ჩვენება, მოწმის ჩვენება, ნივთიერი მტკიცებულებები, დოკუმენტი და ექსპერტის დასკვნა. ექსპერიტიზის მომზადების, დანიშვნის და ჩატარების ხერხების, აგრეთვე ექსპერტის დასკვნის ფორმების შესახებ მნიშვნელოვანი ინფოპრმაცია

მოცემულია მ.ლომსაძის ექსპერტიზის დანიშვნის საფუძველი, სახეები და ექსპერტის წინაშე დასასმელი კითხვები გამოძიების პროცესში.

მიუხედავად იმისა რომ, ბ.ხარაზიშვილის ნაშრომი მტკიცებითი სამართალი 1982 წლით თარიღდება, მასში დეტალურადაა გაანალიზებული მტკიცებულებათა ცალკეული სახეები.მართალია აღნიშნული ლიტერატურა, თანამედროვე საპროცესო კანონმდებლობის ახლებურ ვარიანტს ჩამორჩება, მაგრამ მტკიცებითი სამართლისათვის მოცემული წიგნის მნიშვნელობა შეუფასებელია, რადგან ეს იყო პირველი და ძალიან წარმატებული მცდელობა მტკიცებულებების კლასიფიკაციისა, მიუხედავად იმისა, რომ ზუსტი კლასიფიკაცია სისხლის სამრთალში დღესაც არ გაგვაჩნია.

თემაში განხილულია ნივთიერ მტკიცებულებათა ცნება და სახეები, როგორებიცაა დანაშაულის იარაღი და საშუალება, დანაშაულებრივი ქმედების საგანი, დანაშაულებრივი ქმედების შედეგად დარჩენილი კვალი, აგრეთვე დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ფული და ფასეულობა. ზემოთ უკვე ვისაუბრეთ თუ რა ლიტერატურული მასალა გახდა საჭირო იმისათვის რომ გამოგვეკვლია მტკიცებულებათა ცნება და ცალკეული სახეები, ეხლა კი უშუალოდ განვიხილავ თუ რა მასალა გახდა საჭირო კერძოდ ნივთიერ მტკიცებულებებთან დაკავშირებული საკითხების განხილვისათვის. ესენია: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009, საქართველოს 2009 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგ., ავტ. კოლექტივი, აგრეთვე ს.ჭელიძის საკანდიდატო დისერტაცია ნივთიერ მტკიცებულებათა გამოყენების პრობლემების მკვლელობის საქმეთა გამოძიების პროცესში.

თემაზე მუშაობის პროცესში დიდი ყურადღება დაეთმო დანაშაულის ჩადების შდეგად დარჩენილ კვალს, რადგან მათ დანაშაულის სრულყოფილად გამოძიებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებათ. კრიმინალისტიკური ტექნიკისა და მისი შესაჩლებლობების ცოდნის სრულად გამოყენება უზრუნველყოფს ნებისმიერი დანაშაულის სრულ გამოძიებას. ტრასოლოგიის არსსა და მნიშვნელობაზე არსებობს უამრავი ლიტერატურა ქართულ კანონმდებლობაში,

მათგან გამოვიყენე ყველა ლიტერატურა, რომლებიც დამეხმარა სრული სურათის წარმოდგენაში. ასეთებია შ.ფიცხელაურის 2005წლის ნაშრომი სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებებისა და სპეციალური ცოდნის გამოყენების პრობლემა გამოძიების პროცესში (თეორია და პრაქტიკა), შ.ფაფიაშვილის., კრიმინალისტიკა (ზოგადი ნაწილი), თბ., 2013, აგრეთვე მ.ლომსაძის ჩემს მიერ დასახელებული წიგნი ექსპერტიზასთან დაკავშირებით.

მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხს, სისხლის სამართლის პროცესში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან სწორედ საქმეში არსებულ მტკიცებულებებზეა დამოკიდებული, რა შედეგით დასრულდება საქმე – გამოტანილი იქნება გამამართლებელი, თუ გამამტყუნებელი განაჩენი. მტკიცებულებათა დასაშვებობას ეძღვნება ი.ჩხეიძის ნაშრომი მტკიცებულებათა დასაშვებობის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში, რომელიც 2010 წელსაა გამოშვებული. ამ თემასთან დაკავშირებული საკითხების ახლებური ინტერპრეტაცია შემგვთავაზეს ქ.ჩომახაშვილმა, თ.თომაშვილმა, გ.ძებნიაურმა, ს.ოსეფაშვილმა, მ.პატარიძემ 2016 წლის ნაშრომში მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში.

გამოძიების პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ცალკეულ საგნებს ან მატერიალურ ობიექტებს, რომლებიც სწორედ მტკიცებულებითი ინფორმაციის წყაროს წარმოადგენენ. სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების პროცესი ოთხი ელემენტისაგან შედგება, რომელიც ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული. ესენია: 1. მტკიცებულებათა შეკრება, 2. საპროცესო დამაგრება, 3. შემოწმება, 4. შეფასება. მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით ერთგვაროვანი მოსაზრება არ არსებობს. მაგრამ სისხლის სამართლის 2009 წლის საპროცესო კოდექსიში ისინი ზუსტადაა რეგლამენტირებული. ამ თემის ანალიზისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე ზ.მეიშვილისა და ო.ჯორბენაძის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარებს, 2006 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რომელშიც ასევე კარგადაა გავრცობილი და გაანალიზებული საგამოძიებო მოქმედებები და მასთან დაკავშირებული ყველა საკითხი.

დანაშაულის კვალისა და ნივთიერი მტკიცებულებების მოპოვებისა და აღმოჩენისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საგამოძიებო მოქმედებებს. ცალკეული საგამოძიებო მოქმედებათა არსი და ჩატარების წესი კარგადაა ასახული საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, კერძო ნაწილი, ჯ. გახოკიძის, მ. მამნიაშვილის და ი. გაბისონიას რედაქტირებით., თბ., 2013.

ნივთიერ მტკიცებულებებთან დაკავშირებულ საკითხებს აქტუალურად მიიჩნევს ს.ჭელიძეც. მის საკანდიდატო დისერტაციაში „ნივთიერ მტკიცებულებათა გამოყენების პრობლემა მკვლელობის საქმეთა გამოძიების პროცესში,თბ,2005წ.“ დეტალურადაა განხილული როგორც ნივთიერ მტკიცებულებებთან მჭიდრო კავშირში მყოფი ყველა საკითხი, ასევე საგამოძიებო მოქმედებები. ნაშრომში არსებული მასალა მნიშვნელოვნად დამეხმარა მტკიცებულებების ცალკეული სახეების ანალიზში.

მტკიცებულებებთან დაკავშირებით პრობლემას წარმოადგენს მისი დასაშვებობა. საქართველოში არსებულ რეალობასთან შესადარებლად ასევე გამოვიყენე უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესახებ ცნობები და თეორიები. მაგალითად, „მოწამლული ხის ნაყოფის“ თეორია, რომლის მიხედვითაც, თუ არსებობს კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება ან მის საფუძველზე მოპოვებული სხვა მტკიცებულება, მას არავითარი ძალა არ ექნება. ამ თემასთან დაკავშირებით გამოვიყენე ინტერნეტ სივრცეში არსებული სხვადასხვა სტატიები, რომლებიც ეხება მტკიცებულებათა დასაშვებობის პრობლემას.

თავი I I. კვლევის მეთოდი და ანალიზი

2.1 მტკიცებულებათა ცნება და სახეები სისხლის სამართლის პროცესში

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს მტკიცებულებათა ცნებას, მტკიცებულების სახეებსა და მათი მოპოვებისათვის გათვალისწინებულ ყველა საპროცესო წესსა და ნორმას. კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 23-ე ნაწილის მიხედვით: "მტკიცებულება არის კანონით დადგენილი წესით სასამართლოში წარდგენილი ინფორმაცია, ამ ინფორმაციის შემცველი საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან სხვა

ობიექტი, რომლის საფუძველზედაც მხარეები სასამართლოში ადასტურებენ ან უარყოფენ ფაქტებს, სამართლებრივად აფასებენ მათ, ასრულებენ მოვალეობებს, იცავენ თავიანთ უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, ხოლო სასამართლო ადგენს, არსებობს თუ არა ფაქტი ან ქმედება, რომლის გამოც ხორციელდება სისხლის სამართლის პროცესი, ჩაიდინა თუ არა ეს ქმედება გარკვეულმა პირმა, დამნაშავეა თუ არა იგი, აგრეთვე გარემოებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხასიათსა და ხარისხზე, ახასიათებს მის პიროვნებას".[1]

2.1.1 სასამართლო მტკიცებულებათა წარმოშობა

სისხლის სამართლის პროცესი ან დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღებით, ან სასამართლოს განჩინების გარეშე პირის დაკავებით იწყება, რა დროსაც იქმნება სისხლის სამართლის საქმე, სადაც თავს მოიყრის ყველა ის დოკუმენტი, რომლებიც შედგება სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას.

თანამდედროვე დემოკრატიულ წყობაში დამნაშავის დასჯის მონოპოლია გააჩნია მხოლოდ სახელმწიფოს . "დანაშაულის შედეგად დაზარალებულ პირებს ეკრძალებათ, რომ სამართლიანობის აღსადგენად ძალადობის და იძულების ღონისძიებების გამოყენებით თავად გაუსწორდნენ დანაშაულის ჩამდენს. ამიტომ, სახელმწიფოს ეკისრება თავისი მოქალაქეების დაცვაზე ზრუნვის ვალდებულება. ამისათვის მან უნდა შექმნას სამართლებრივი ნორმები, რომლბიც შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს მისცემენ დანაშაულის ჩამდენი პირების დევნის და დასჯის შესაძლებლობას. სწორედ ამ გზით უნდა აღდგეს დანაშაულის ჩადენის შედეგად დარღვეული სამართლებრივი წესრიგი და სამართლიანობა."[2]

დაცვის უფლება კი არის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა თანამედროვე სამართლის ერთ–ერთი ფუნდამენტური პრინციპი, რომელიც განმტკიცებულია არა მხოლოდ ნაციონალურ სამართლებრივ სისტემებში,არამედ

---

[1] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი თბ. 2009 (ახ. რედ)

[2] სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეები, https://mimomxilveli.wordpress.com (უკანასკნელად ნანახია 25.04.2019)

მთელ რიგ საერთაშორისო–სამართლებრივ აქტებში. "პირი უდნაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით"[3] და აგრეთვე "ყოველ ადამიანს, რომელსაც ბრალად ედება დანაშაულის ჩადენა, უფლება აქვს ითვლებოდეს უდანასაულოდ მანამ, სანამ მისი ბრალეულობა დადგენილი არ იქნება კანონიერი წესისამებრ საჯარო სასამართლო განხილვით, რომლის დროსაც მისთვის უზრუნველყოფილია დაცვის ყველა შესაძლებლობა."[4]

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე–9 მუხლის შესაბამისად „სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე პროცესი ხორციელდება მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის საფუძველზე." ამის შემდეგ ტარდება საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები, რომლებიც დოკუმენტურად ფორმდება. სისხლის სამართლის საქმეს ქმნის მოცემულ დოკუმენტთა ერთობლიობა. ამასთანავე, სსსკ–ის 111–ე მუხლის თანახმად „მხარეებს ამ კოდექსით დადგენილი წესით საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისას აქვთ თანაბარი უფლება-მოვალეობები," ანუ მათ წარმოეშობათ საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული თანაბარი უფლებები და ვალდებულებები. სისხლის სამართლის წარმოებაში მონაწილე პირები ვალდებულნი არიან არიან დაემორჩილონ საგამოძიებო და სასამართლო ორგანოების განკარგულებებს, მაგრამ მათ აქვთ აგრეთვე კანონით გათვალისწინებული მთელი რიგი უფლებებისა, რომელთა რეალიზაციაც ხდება გამოძიების და სასამართლო განხილვის პროცესში. ამ დროს პროცესში მონაწილე პირები ერთმანეთთან გარკვეულ ურთიერთობებს ამყარებენ.

ევროპული სასამართლოს განმარტებით სისხლის სამართლის საქმეში შეჯიბრებით პროცესზე უფლება გულისხმობს, რომ როგორც ბრალდების, ისე დაცვის მხარეს უნდა მიეცეს მეორე მხარის მიერ წარდგენილი მოსაზრებებისა და მტკიცებულებების გაცნობისა და მათზე საკუთარი აზრის გამოთქმის შესაძლებლობა. ეს პრინციპი მოქმედებს იმის მიუხედავად, მეორე მხარის მიერ წარდგენილი

[3] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი თბ. 2009. მუხლი 5 (ახ. რედ.)
[4] ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა საყოველთაო დეკლარაცია,1948წ. მუხლი 11

მასალები შეეხება ფაქტების დადგენას, სამართლებრივ არგუმენტებს საქმის არსებით გარემოებებზე, თუ შუამდგომლობებს საპროცესო საკითხებზე.

მხარეთა თანასწორობა ევროპული სასამართლოს აზრით, გულისხმობს, რომ თითოეულ მხარეს უნდა მიეცეს საკუთარი პოზიციის, მათ შორის მტკიცებულებების წარდგენის გონივრული შესაძლებლობა ისეთ პირობებში, რომლებიც მას არ ჩააყენებს არსებითად არახელსაყრელ მდგომარეობაში მოწინააღმდეგესთან შედარებით.[5]

მხარეთა უმთავრესი უფლებამოსილება არის მტკიცებულებათა მოპოვების შესაძლებლობა. მტკიცებულებათა მოპოვებაში სისხლის სამართლის კოდექსი არ ზღუდავს არცერთ მხარეს, მათ შორის არც ბრალდებულს და იგივე უფლებებით აღჭურავს, თუმცა პრაქტიკული თვალსაზრისით ვერ ვისაუბრებთ იმაზე, რომ ზუსტად ერთნაირ მდგომარეობაში არიან მტკიცებულების მოპოვების თვალსაზრისით. მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხს სისხლის სამართლის პროცესში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან სწორედ წარდგენილ მტკიცებულებებზეა დამოკიდებული, რა შედეგით დასრულდება საქმე – გამოტანილი იქნება გამამართლებელი, თუ გამამტყუნებელი ვერდიქტი. აქედან გამომდინარე, სისხლის სამართლის საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში თითოეული მტკიცებულების დასაშვებობის შეფასებას შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭოს და მან მხარისთვის გამოუსწორებელი შედეგი გამოიწვიოს იმ გაგებით, რომ განაჩენი დაეყრდნოს დაუშვებელ მტკიცებულებებს.

სამართლებრივ სახელმწიფოში ჭეშმარიტების დადგენა არ არის სისხლის სამართლის პროცესის აბსოლუტური მიზანი, ვინაიდან იგი განიცდის გარკვეულ კანონისმიერ ბოჭვებს. ჭეშმარიტება დადგენილი უნდა იქნეს მხოლოდ პროცესუალურად დასაშვები საშუალებებით. შესაბამისად, მხარეების მიერ მოპოვებული ყველა ინფორმაცია ვერ იქნება დასაშვებ მტკიცებულებად ცნობილი სისხლის სამართლის პროცესში, თუ ისინი არ პასუხობენ კანონის მოთხოვნებს.[6]

---

[5] მხარეთა შეჯიბრობითობის და თანასწორობის უზრუნველყოფისათვის, http://alfg.ge (უკანასკნელად გადამოწმებული 19.04.2019)

[6] გ. თუმანიშვილი, სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ. 2014, გვ. 248

წინა სისხლის სამართლის კოდექსი ერთმანეთისაგან განასხვავებდა „მტკიცებასა“ და „მტკიცებულებას“. ამ თემებს ეძღვნებოდა საპროცესო კოდექსის მე–15 თავი, სადაც განხილული იყო მტკიცებულებები და დასათაურებული იყო, როგორც „მტკიცებულებანი და მტკიცება.“[7] ეს ფაქტი სრულიად ლოგიკურია, რადგან ეს ორი ცნება ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებულია.

ნებისმიერი ფაქტობრივი გარემოება, რომელზეც სასამართლო თავის საბოლოო გადაწყვეტილებას აფუძნებს უნდა იყოს სათანადო წესით დადგენილი. დასაწყისისთვის აუცილებელია ფაქტის დადგენა, სამართლის სატანადო ნორმების მოძიება, იმის დადგენა, თუ რამდენად შეესაბამება ეს ფაქტი ნორმაში მოცემულ ქცევის წესს და ბოლოს იურიდიული შედეგის განსაზღვრა.

ფაქტების დადგენა ხდება მტკიცების გზით. მტკიცების პროცესი მოიცავს შემეცნებას,დადასტურებასა და დასაბუთებას. თავდაპირველად ხდება მტკიცებულების მოპოვება ანუ შემეცნება, შემდეგ მოპოვებული მტკიცებულების დადასტურება. დადასტურება ხდება იმისა, რომ მტკიცებულება რეალურად შეეხება სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან გარემოებას, შემდეგ ხდება მიდი საპროცესო დამაგრება ანუ საპროცესო დოკუმენტებში ასახვა. ხოლო ბოლო სტადია მტკიცების პროცესის არის დარწმუნება. დარწმუნების დროს მტკიცებულების წარმდგენი მხარე ცდილობს დაარწმუნოს მოსამართლე, რომ მის მიერ მოპოვებული მტკიცებულება წარმოადგენს იმ უტყუარ საბუთს, რაზეც შემდგომში დამყარებული უნდა იქნას მოსამართლის განაჩენი. სწორედ ამით არის განპირობებული ის ფაქტი, რომ იურიდიულ ლიტერატურაში მტკიცებულებებისა და მტკიცების პრობლემატიკის შესწავლა „მტკიცებითი სამართლის“ სახელწოდებით გვხვდება.[8]

---

[7] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი თბ. 1998წ (ახ. რედ.)

[8] ბ. ხარაზიშვილი, მტკიცებითი სამართალი, თსუ-ს გამომც. თბ. 1982, გვ.18-20

2.2 მტკიცებულებათა ცნება და სახეები

როგორც უკვე აღვნიშნე, მტკიცებულებას სისხლის სამართალწარმოების პროცესში ცენტრალური ადგილი უკავია, ეს უპირველეს ყოვლისა განპირობებულია იმით, რომ მხოლოდ მათი მეშვეობით ხდება პირის ბრალეულობის დადგენა მის მიერ ჩადენილ დანაშაულში.

მტკიცებულება ეს არის ინფორმაცია, რომელიც ადასტურებს ან უარყოფს რაიმე ფაქტს ან მოვლენას. სწორედ მათი საშუალებით ხდება წარსულში მომხდარი დანაშაულებრივი ფაქტის აღდგენა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მტკიცების საგანში შემავალი გარემოებები შეიძლება დამტკიცდეს დამამტკიცებელი საბუთებით. მტკიცებულებების გარეშე არ არსებობს არცწინასწარი გამოძიება და არც სასამართლო განხილვა.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოიყენება ტერმინები მტკიცებულებითი სამართალი და მტკიცებითი თეორია. მტკიცებულებით სამართალს საფუძვლად უდევს მტკიცებულება, ანუ ის გულისხმობს სამართალს მტკიცებულებათა შესახებ.

მტკიცება მტკიცებულებასთან შედარებით უფრო ფართო ცნებაა. იგი გულისხმობს სისხლის სამართალწარმოებაში მონაწილეთა მიერ მტკიცებულებითი ინფორმაციის კანონიერი გზით შეკრებასა და შეფასებას. მასში მოიაზრება მტკიცებულება. დაუშვებელია მტკიცებულების წინასწარი როგორც გადაჭარბებული შეფასება,ასევე მის მიმართ ტენდენციური დამოკიდებულება ან უნდობლობა.

მტკიცებულების ცალკეულ სახეებად კლასიფიკაციასთან დაკავშირებით იურიდიული ლიტერატურაში არ არსებობს ერთიანი პოზიცია. მათი კლასიფიკაცია თავისი შინაარსის, წარმომავლობის და მნიშვნელობის მიხედვით პირობითად შესაძლებელია მოვახდინოთ შემდეგნაირად

- გამამტყუნებელი და გამამართლებელი მტკიცებულებები
- პიროვნული და ნივთიერი მტკიცებულებები
- პირველადი და წარმოებული მტკიცებულებები
- პირდაპირი და არაპირდაპირი მტკიცებულებები. [9]

განვიხილოთ თითოეული მათგანი. გამამტყუნებელ და გამამართლებელ მტკიცებულებებს სხვაგვარად შეიძლება ვუწოდოთ ბრალდების და დაცვის მხარის მტკიცებულებები. მოცემულ კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს შეჯიბრებითი და თანასწორი სისხლის სამართლის პროცესი. სისხლის სამართლის პროცესში მხარეები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მოიპოვებენ მტკიცებულებებს.

[9] გ. თუმანიშვილი, სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ. 2014, გვ.202-206

ამასთანავე აღსანიშნავია,რომ გამოძიების ეტაპზე გამომძიებელი ვალდებულია გამოძიება აწარმოოს ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად. დაცვის მხარე უფლებამოსილია გამოძიების ეტაპზე მოიპოვოს ისეთი მტკიცებულებები, რომლებიც სასარგებლოა ბრალდებულის დაცვის პოზიციების გასამყარებლად, რომლებიც ამართლებენ ბრალდებულს ჩადენილ დანაშაულში ან ამსუბუქებენ მის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. მნიშვნელოვანი ის ფაქტია, რომ ბრალდების მხარისგან განსხვავებით, დაცვის მხარეს კანონით არ ეკისრება ობიექტურობის ვალდებულება გამოძიების ეტაპზე მტკიცებულების მოპოვებისას. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გამამტყუნებელ მტკიცებულებად მიიჩნება ყველა ის მონაცემი და ინფორმაცია, რომელზეც ბრალდების მხარე ამყარებს პირის მიმართ წარდგენილ ბრალდებას და რომელიც ამხელს პირს დანაშაულის ჩადენაში ,სასჯელის დანიშვნისას უმძიმებს მას სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ან სხვაგვარად ამძიმებს ბრალდებულის პროცესუალურ მდგომარეობას. ამის საწინააღმდეგოდ, გამამართლებელია ყველა ის მონაცემი ან ინფორმაცია, რომელიც ამართლებს პირს ჩადენილ დანაშაულში და რომელსაც იყენებს დაცვის მხარე ბრალდებულისთვის წარდგენილი ბრალდების გასაქარწყლებლად ან ბრალდებულის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესამსუბუქებლად.

პიროვნული და ნივთიერი მტკიცებულებები. მტკიცებულებები შესაძლოა დაიყოს ინფორმაციის წყაროს მიხედვით, ანუ თუ საიდან მომდინარეობენ ისინი. პიროვნულ მტკიცებულებებს წარმოადგენენ ცნობები და მონაცემები სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების შესახებ,რომლებიც მიიღება სისხლის სამართლის პროცესში მონაწილე პირთაგან. ხოლო ნივთიერ მტკიცებულებებს მიეკუთვნება ის მონაცმები, რომლებიც მიიღება საგნის თვისებების, ნიშნების და მასზე დატოვებული კვალის აღქმით.[10]

პიროვნულ მტკიცებულებებს მიეკუთვნება მოწმის ზეპირი ჩვენება, მისი დაკითხვის ოქმი, ექსპერტის მიერ მომზადებული დასკვნა, ასევე სხვადასხვა საგამოძიებო

[10] შ. ფაფიაშვილი, კრიმინალისტიკა (ზოგადი ნაწილი), თბ. 2013, გვ. 397-400

მოქმედებების დროს შედგენილი ოქმები, სადაც დაფიქსირებული ინფორმაცია სხვადასხვა ფაქტებისა და გარემოებების თაობაზე გადმოცემულია პროცესის მონაწილე პირებისაგან. ნივთიერ მტკიცებულებებს კი წარმოადგენს დამნაშავის მიერ დატოვებული კვალი, დანაშაულის იარაღი და ა.შ.

პირველად მტკიცებულებად ჩაითვლება ისეთი მტკიცებულება,რომელიც მიღებულია პირველი წყაროდან, ხოლო მეორე წყაროდან მიღებული ყველა ინფორმაცია და მონაცემი მიეკუთვნებიან წარმოებულ მტკიცებულებებს.[11] მაგალითად, დანაშაულის თვითმხილველი მოწმის მიერ მიცემული ჩვენება პირველადი მტკიცებულებაა, ხოლო წარმოებული მტკიცებულებაა მოწმის ჩვენებ, რომელიც ეფუძნება სხვა პირის მიერი გავრცელებულ ცნობებს. ამ ტიპის მტკიცებულებას „ირიბი ჩვენება“ ეწოდება.[12] ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას უპირველესად უნდა მოხდეს პირველადი მტკიცებულებების გამოკვლევა,რადგან ისინი პირდაპირ კავშირში არიან მომხდარ ფაქტთან და იძლევიან უმნიშვნელოვანეს ცნობებს საქმესთან დაკავშირებით. ასევე სასამართლოში პირველადი მტკიცებულების წარდგენისას მხარეებს შესაძლებლობა ეძლევათ დანაშაულის თვითმხილველ მოწმეს დაუსვან კითხვები და გამოავლინონ ის უზუსტობები,რაც ეჭვქვეშ დააყენებს მოცემული მტკიცებულების სანდოობას. ირიბი ჩვენებისას მოწმე პირადად არ შესწრებია დანაშაულს და იგი იმეორებს იმ ინფორმაციას, რაც სხვა პირებისგან მოისმინა. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიმაჩნია სასამართლოში წარმოებული მტკიცებულებების გამოყენება, როდესაც საქმეში მოიპოვება მასთან დაკავშირებული პირველადი მტკიცებულებები.

პირდაპირი მტკიცებულებების საშუალებით ხდება საქმეში მთავარი ფაქტების დამტკიცება. მაგალითად, სათვალთვალო კამერით გადაღებული ვიდეოკარდრი პირდაპირი მტკიცებულებაა, თუ მასში ჩანს, როგორ უხსნის ცეცხლს ბრალდებული დანაშაულის მსხვერპლს. არაპირდაპირი მტკიცებულება უშუალოდ პირდაპირ

---

[11] ნ. გოგნიაშვილი, სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები, მე-2 გამოცემა, თბ. 2009, გვ. 396-400

[12] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი თბ. 2009, (ახ. რედ.) მუხლი 76

კავშირში არ არის მტკიცების საგანთან, მაგრამ სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში შესაძლებელია მნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთება მთავარი ფაქტების შესახებ.[13] ასეთ მტკიცებულებეს შეგვიძლია მივაკუთვნოთ აუდიოჩანაწერი, სადაც ბრალდებული მსხვერპლს მოკვლით ემუქრებოდა რამდენიმე დღით ადრე. ეს ფაქტობრივი გარემოება მართალია, პირდაპირ არ ამტკიცებს, რომ პირი მოკლა ბრალდებულმა, მაგრამ სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში, შესაძლოა გამოვიყენოთ ბრალდებულის მკვლელობაში სამხელად.

მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხს სისხლის სამართლის პროცესში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან სწორედ წარდგენილ მტკიცებულებებზეა დამოკიდებული, რა შედეგით დასრულდება საქმე – გამოტანილ იქნება გამამართლებელი, თუ გამამტყუნებელი ვერდიქტი. აქედან გამომდინარე, სისხლის სამართლის საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში თითოეული მტკიცებულების დასაშვებობის შეფასებას შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭოს და მან მხარისთვის გამოუსწორებელი შედეგი გამოიწვიოს იმ გაგებით, რომ განაჩენი დაეყრდნოს დაუშვებელ მტკიცებულებებს.

კიდევ ერთი, ძალიან მნიშველოვანი საკითხი მტკიცებულებათა დასაშვებობაში არის „მოწამლული ხის ნაყოფის“ თეორია. სისხლის სამართლის პროცესის მნიშვნელობიდან გამომდინარე მასში ყველა მოქმედება კანონის ზუსტი დაცვით უნდა ხორციელდებოდეს, რადგან აღნიშნულ პროცესში ადამიანის ბედი წყდება, კანონდარღვევით მოპოვებული ინფორმაცია დაუშვებელი მტკიცებულებაა და ის არ უნდა იქნეს სისხლის სამართლის საქმეში მიღებული. დასაბამს „მოწამლული ხის ნაყოფის“ თეორია იღებს ამერიკის შეერთებული შტატების პრეცედენტულ სამართალში. სწორედ აშშ-ში მოწამლული ხის ნაყოფის თეორიას ადარებენ უკანონო მტკიცებულების საფუძველზე მოპოვებულ ინფორმაციას. „FRUIT OF THE POISONOUS TREE” სიტყვა-სიტყვითი თარგმანით იქნა ქართულ ლექსიკონში გადმოტანილი.[14] თვითონ ტერმინის ანალიზით ვგებულობთ, რომ მოწამლულ ხეს

---

[13] ნ. გოგნიაშვილი, სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები, მე-2 გამოცემა, თბ. 2009, გვ. 399

[14] Robert M. Pitler, „The Fruit of the Poisonous Tree Revisited and Shepardized”,

რეალურად, მოწამლული ნაყოფი ექნება, მოწამული ნაყოფი კი უვარგისია, მისი გამოყენება არ ხდება.[15]

,,მოწამლული ხის ნაყოფი" არის სამართლებრივი თეორია, რომელიც სისხლის სამართლის საქმიდან მტკიცებულების გამორიცხვის საფუძველია. მტკიცებულების გამორიცხვის წესის თანახმად, უკანონო ჩხრეკით, დაპატიმრებით, იძულებითი დაკითხვით მოპოვებული ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმეზე არ უნდა იქნეს დაშვებული. რაც შეეხება ,,მოწამლული ხის ნაყოფის" თეორიას, ის უფრო შორს მიდის და ადგენს, რომ სისხლის სამართლის საქმის მასალებიდან ასევე უნდა გამოირიცხოს უკანონო გზით აღმოჩენილი ინფორმაციის საფუძველზე მოგვიანებით მოპოვებული მტკიცებულება.[16]

დღესდღეობით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლი არეგულირებს დაუშვებელ მტკიცებულებას. სსსკ-ის 72-ე მუხლის მიხედვით „ამ კოდექსის არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება და ამგვარი მტკიცებულების საფუძველზე კანონიერად მოპოვებული სხვა მტკიცებულება, თუ ის აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას, დაუშვებელია და იურიდიული ძალა არ გააჩნია." ჩემი აზრით, გაუგებარია აღნიშნული ჩანაწერი, რადგან ნებისმიერ შემთვევაში „მოწამლული ხის ნაყოფის" თეორიის მიხედვით, თუ არსებობს კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება ან მის საფუძველზე მოპოვებული სხვა მტკიცებულება, მას არავითარი ძალა არ ექნება, იმისდამიუხედავად, აუარესებს თუ არა ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას. კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულების საფუძველზე

მოპოვებული კანონიერი მტკიცებულება თუ ის აუმჯობესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას, მაინც არ უნდა გამოიყენებოდეს, რადგან ზოგადი პრინციპიდან გამომდინარე, მტკიცებულება უნდა იყოს მოპოვებული და აუცილებლად უნდა იყოს მისი მოპოვების წყარო დასახელებული. თუ თავად მტკიცებულების მოპოვების წყარო იყო უკანონო, როგორ შეიძლება რომ

California Law Review, Article 2

[15] The Fruit of the Poisonous Tree Doctrine, https://resources.lawinfo.com, (უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 19.04.2019)

[16] ქ. ჩომახიშვილი, მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ. 2016, გვ.33

არსებულმა მტკიცებულებამ კანონიერი ძალა მიიღოს მიუხედავად იმისა რომ შეიძლება ამგვარი მტკიცებულება უშუალოდ დაცვის მხარის მიერ იყოს მოპოვებული და არათუ აუარესებდეს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას, პირიქით ამსუბუქებდეს. რა ხდება ამ შემხვევაში? რატომ არის 72- ე მუხლის პირველ ნაწილში მსგავსი ფორმულირება, რაც შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს თუ ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას აუარესებს, მხოლოდ ამ შემთხვევაშია დაუშვებელი მტკიცებულება? „მოწამლული ხის ნაყოფის" თეორიის მიხედვით, კანონის დარღვევით მოპოვებული ნებისმიერი მტკიცებულების საფუძველზე მოპოვებული თუნდაც კანონიერი მტკიცებულება დაუშვებელია და იურიდიული ძალა არ აქვს. შესაბამისად, ჩენი აზრით, სისხლის

სამართლის პროცესის რომელი მხარის მიერაც არ უნდა იქნას ესეთი მტკიცებულება მოპოვებული, მაინც უნდა იქნას დაუშვებლად ცნობილი ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე.

„საეჭვო ინფორმაციის საფუძველზე ადამიანის ბედის გადაწყვეტა არ შეიძლება. ამიტომ კანონდარღვევით მოპოვებული ინფორმაცია დაუშვებელი მტკიცებულებაა და ის უნდა გამოირიცხოს სისხლის სამრთლის საქმიდან." ეს წესი პირველად გამოყენებულ იქნა აშშ-ში 1914 წელს „კერძოდ, აგენტმა მტკიცებულება პირადი კორესპონდენციის დარღვევით მოიპოვა. უზენაესმა სასამართლომ მიუთითა,რომ ბრალდება პირის სახლიდან უკანონოდ მოპოვებულ წერილებსა და კორესპონდენციას არ უნდა ეფუძნებოდეს.[17]

მოგვიანებით მტკიცებულების გამორიცხვის წესის მოქმედების გარგლებში გაფართოვდა და იგი უკანონო ინფორმაციის საფუძველზე მოპოვებულ მტკიცებულებაზედაც გავრცელდა".უკანონო ჩხრეკით, დაპატიმრებით, იძულებითი დაკითხვით მოპოვებული მტკიცებუება და მის საფუძველზე ამოტივტივებული კანონიერი მტკიცებულება დაუშვებელია.[18]

სისხლის სამართლის საქმიდან მტკიცებულების გამორიცხვას კონკრეტული მიზანი უნდა ჰქონდეს. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია ადასტურებს,

[17] ქ. ჩომახაშვილი და სხვები, სისხლის სამართლის პროცესში, თბ. 2016, გვ. 18
[18] იქვე

რომ განაჩენი მხოლოდ კანონიერ და უტყუარ ინფორმაციას უნდა ეფუძნებოდეს. დაუშვებელია სისხლის სამართლის პროცესში ნებისმიერი უკანონო მტკიცებულება ან უკანონო მტკიცებულების საფუძველზე მოპოვებული კანონიერი მტკიცებულება, თუ ის აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას.

„მოწამლული ხის ნაყოფის" თეორიასთან მიმართებაში ჩემი მოსაზრება ისეთია, რომ მტკიცებულების დასაშვებობის საკითხი მკაცრად უნდა იყოს რეგლამენტირებული. რაც შეეხება იმას ვეთანხმები თუ არა „მოწამლული ხის ნაყოფის თეორიას", გარკვეულწილად ვეთანხმები, რადგან ვფიქრობ, რომ სამართალი არ უნდა იყოს უსამართლობის შედეგი. თუმცა პრაქტიკიდან შეგვიძლია ვისაუბროთ, რომ უკანონოდ მოპოვებული მტკიცებულების საფუძველზე მოპოვებულ კანონიერ მტკიცებულებას, ხშირად უდიდესი მნიშვნელობა აქვს სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენისათვის, ამიტომ ცალსახად ვერ გავიზიარებ ამ თეორიას და მიმაჩნია, რომ არ მხრივ კანონდებლის მიერ გარკვეული პირობები უნდა იყოს დაწესებული.

მტკიცებულებების ცალკეულ სახეებად დაყოფას სისხლის სამართალწარმოებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, მაგრამ მიუხედავად ამისა ეს დღემდე ვერ ხერხდება. მოცემულ ქვეთავში გავნიხილეთ მტკიცებულებათა ის სახეები, რომელიც ყველაზე მეტადაა გავრცელებული ქართულ სისხლის სამართალში.

2.2.1 ბრალდებულის ჩვენება

ბრალდებულის ჩვენებას სისხლის სამართლის პროცესის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ყოველთვის მნიშვნელოვანი და განსაკუთრებული ადგილი ეკავა. მას ხშირად მიიჩნევენ „მტკიცებულებების დედოფლად" ან „საუკეთესო მტკიცებულებად."

„მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა." [19] მოცემული ნორმის მიზანია დაიცვას ბრალდებული დაუსაბუთებელი ბრალდებისაგან. ბრალდებული

[19] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი თბ. 2009. მუხლი 13 (ახ. რედ.)

არის პირი, რომლის მიმართაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული.[20] სასამართლოს დამოუკიდებლობა უზრუნველყოფილია საქართველოს კანონმდებლობით. კანონმდებელს ეკრძალება საკანონმდებლო წესით განსაზღვროს მტკიცებულებათა სახეების იერარქია და განსხვავებული მტკიცებულებითი ძალა. არანაირ მტკიცებულებას არ ენიჭება წინასწარ დადგენილი უპირატესობა არც მტკიცებულების სახით და არც მისი შინაარსიდან გამომდინარე. დაუშვებელია მტკიცებულებისწინასწარი როგორც გადაჭარბებული შეფასება, ასევე მის მიმართ ტენდენციური დამოკიდებულება ან უნდობლობა. [21]

რა თქმა უნდა შესაძლებელია, მტკიცებულების შეფასების შედეგად განვსაზღვროთ მისი როლი სისხლის სამართლის საქმეში.

ყველა მტკიცებულება ექვემდებარება დასაშვებობის, სარწმუნოების და რელევანტურობის ტესტზე თანაბარ შემოწმებას, მიუხედავად იმისა, რომ მათ შექმნაში გამოყენებულია საყოველთაოდ აღიარებული სამეცნიერო მეთოდები, რომლებიც დადასტურებულად მაღალი საიმედოობით გამოირჩევა, თუ მიეკუთვნება იმ მტკიცებულებებს, რომელთა მიმართაც არსებობს ცდომილების შედარებით უფრო მაღალი ალბათობა.[22] ყველა ადამიანს აქვს სხვადასხვანაირი უნარი სწორად დაინახოს, აღიქვას და გადმოსცეს ესა თუ ის ფაქტობრივი გარემოება. სწორედ ამიტომ საჭიროა გარკვეულ იქნას მისი კავშირი ნივთმტკიცებასთან.

მტკიცებულებების ერთობლიობა გვაქვს იმ შემთხვევაში, როდესაც ცალკეულ მტკიცებულებებს შორის არის მყარი შინაარსორივი კავშირი და მათ შორს არ არის წინააღმდეგობა. ასეთი მტკიცებულებები უნდა მიუთითებდნენ ერთიდაიმავე გარემოებებზე ისე, რომ არ დატოვონ დაეჭვების საფუძველი.

ბრალდებულმა შესაძლოა აღიაროს ჩადებილი დანაშაულის შესახებ სისხლის სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე, როგორც გამოძიების დაწყებამდე და გამოძიების მსვლელობის პროცესში, ასევე საქმის სასამართლოში განხილვისას.

---

[20] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი თბ. 2009. მუხლი 3 (ახ. რედ.)

[21] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, თბილისი 2015, გვ. 112

[22] იქვე

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის თანახმად კი ერთ-ერთ მტკიცებულებად არის მიჩნეული საქმის გარემოებათა შესახებ სასამართლოში ბრალდებულის მიერ თავის ჩვენებაში მოცემული ინფორმაცია, რომელსაც ახასიათებს შემდეგი ნიშნები:

1. ჩვენების შინაარსს წარმოადგენს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც ეხება განსახილველი საქმის კონკრეტულ, ფაქტობრივ გარემოებებს;
2. ამ ინფორმაციას შემხებლობა უნდა ჰქონდეს სისხლის სამართლის საქმესთან - მტკიცების საგანთან;
3. ეს ინფორმაცია მოპოვებული უნდა იყოს მხოლოდ ბრალდებულის სასამართლოში დაკითხვის გზით;
4. ამ ინფორმაციის მატარებელია ის პირი, რომელსაც მინიჭებული აქვს ბრალდებულის სტატუსი.

ჩემი აზრით, პირის დამოკიდებულება მისდამი წაყენებული ბრალდების შესახებ საერთოდ არ წარმოადგენს ჩვენებას, რადგან იცი არ შეიცავს მტკიცებულებისათვის დამახასიათებელ ელემენტს - ინფორმაციას ფაქტობრივი გარემოებების შესახებ. აქედან გამომდინარე ბრალდებულის მიერ ბრალის აღიარების ან წაყენებული ბრალდების უარყოფის ფაქტი არ წარმოადგენს მტკიცებულებას და წარმოადგენს მხოლოდ მის პოზიციას, მის პირად და სუბიექტურ დამოკიდებულებას წაყენებული ბრალდებისადმი.

ბრალდებულის მიერ ბრალის აღიარებას შესაძლოა სხვადასხვა მიზეზები უძღვოდეს წინ, როგორებიცაა მაგალითად, სხვა თანამონაწილეებისთვის ხელის დაფარება, სამართალდამცავების მხრიდან დაშინება, მუქარა, შანტაჟი, სხვა დანაშაულის დაფარვის სურვილი და სხვა გარემოებები. სწორედ ამიტომ, ბრალდებულის აღიარებაცა და ბრალდებულის მიერ ჩვენების შეცვლაც სასამართლოს მხრიდან დამატებით ყურადღებას და ფრთხილ შეფასებას მოითხოვს.

მტკიცებულებად მიიჩნევა არა თავად აღიარების ფაქტი, არამედ აღიარებაში მოცემული ფაქტობრვი გარემოებები, რომლებიც ექვემდებარება გადამოწმებას

საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობასთან.[23] როგორც ზემოთ აღვნიშნე, თითოეულ ადამიანს გააჩნია აღქმის და გადმოცემის თავისებური მეთოდი. სწორედ ამიტომ, არ შეიძლება მხოლოდ ბრალდებულის აღიარება საფუძვლად დაედოს სასამართლოს გამამტყუნებელ განაჩენს.

ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ ბრალდებულის მიერ ჩვენების მიცემა მისი უფლებაა და არა მოვალეობა ისევე, როგორც ბრალდებულის მიერ მოწმის სახით ჩვენების მიცემამდე დადებული ფიცი არ ხელყოფს მის უფლებას, არ მისცეს მამხილებელი ჩვენება საკუთარი თავის ან ახლო ნათესავის წინააღმდეგ მაგრამ თუ ბრალდებული უარს ამბობს დუმილის უფლებით სარგებლობაზე, იგი სასამართლო სხდომაზე იკითხება მოწმის სახით და მას საერთო წესით ეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის - შეგნებულად ცრუ ჩვენების მიცემისათვის. [24]

ბრალდებული არის პროცესის ერთ-ერთი მხარის კერძოდ, დაცვის მხარის ცენტრალური ფიგურა, რომლის მიმართაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული. პირისთვის ბრალდებულის სტატუსის მინიჭებამდე, სახელმწიფოს აქვს ვალდებულება მის მიმართ შეაგროვოს ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც მოცემული სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ერთობლიობით ობიექტურ პირს გააკეთებინებდა დასკვნას ამ პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენის თაობაზე, მაგრამ ამ შემთხვევაში, ფაქტებისა და ინფორმაციის შეგროვება სახელმწიფოს ვალდებულებაა და თუ არა ბრალდებულის ნებაყოფლობითი აღიარება, სხვა შემთხვევაში, მისი ჩვენება არ შეიძლება საფუძვლად დაედოს განაჩენს.[25]

---

[23] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, თბილისი 2015, გვ. 113-114

[24] ქ. ჩომახაშვილი, და სხვები, მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ. 2016, გვ. 18

[25] ლ. მსხილაძე, ბრალდებულის უფლება - მისცეს ჩვენება, http://supremecourt.ge, (უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 19.05.2019)

ბრალდებულის სამართლებრივი ანალიზი ცხადყოფს, რომ ბრალდებული წარმოადგენს სისხლის სამართლის პროცესში დაცვის მხარის მთავარი სუბიექტს, რომელსაც უპირისპირდება სახელმწიფო, რომელიც ვალდებულია დაუმტკიცოს ბრალდებულს ბრალდება. სასტიკად დაუშვებელია, სახელმწიფომ ბრალდებული დაავალდებულოს, რომ იყოს საქმეში მოწმე თავისი თავის წინააღმდეგ.

აუცილებელია ბრალდებულის მიერ აღიარებაში გაცხადებული მონაცემები და გარემოებები დასტურდებოდეს სხვა მტკიცებულებებით. სასამართლოს მიერ მიღებული განაჩენი უნდა ემყარებოდეს მტკიცებულებების ერთობლიობას და მტკიცების სტანდარტებს. გარდა ამისა, აღიარება სულაც არ უზრუნველყოფს ბრალდებულის მიერ მიწოდებული ცნობების სანდოობას და სარწმუნოობას, რადგან მას გააჩნია საკუთარი ქცევისადმი სუბიექტური დამოკიდებულება , რომელიც შესაძლოა არ ემთხვეოდეს ობიექტურ რეალობას.

დასკვნის სახით შემიძლია ვთქვა, რომ ბრალდებულის ჩვენება არის მნიშვნელოვანი მტკიცებულება, რომელიც დიდ როლს თამაშობს სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისას. ხშირ შემთხვევაში ბრალდებული საკუთარ ჩვენებაში ცრუ ინფორმაციას ადასტურებს სხვადასხვა მიზეზების გამო, რათა შეცდომაში ან ჩიხში შეიყვანოს გამოძიება. ამიტომ სასამართლოში უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს ამ მტკიცებულების გამოკვლევასა და შეფასებას.

2.2.2 მოწმის ჩვენება. ირიბი ჩვენება

მოწმის ჩვენება არის მტკიცებულებათაგან ყველაზე გავრცელებული ფორმა, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სისხლის სამართლის საქმეში. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს, რომ მოწმე არის პირი, რომელმაც შეიძლება იცოდეს სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო მონაცემი და ინფორმაცია,[26] ასევე მოწმის ჩვენება არის მოწმის მიერ სასამართლოში მიცემული ინფორმაცია სისხლის

[26] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლი 3(20) (ახ. რედ.)

სამართლის გარემოებების შესახებ.[27] კოდექსი ასევე განსაზღვრავს პირისათვის მოწმის სტატუსისა და უფლება-მოვალეობების შეძენის დროს. პირს მოწმის უფლება-მოვალეობანი წარმოეშობა მის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე გაფრთხილებისა და ფიცის დადების მომენტიდან.

მოწმის ჩვენების შეფასებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი გარემოებები:

- მეხსიერების მდგომარეობა, ფსიქიკური და ფსიქოლოგიური მდგომარეობა, ასაკი, ჯანმრთელობა, გარკვეული სახის გამოცდილება, ტემპერამენტი, ნანახის გაზვიადებისაკენ ან დასკვნისაკენ მიდრეკილება და ა.შ.
- ბუნებრივი გარემო პირობები, რომელშიც მოხდა მოვლების აღქმა: დრო, ადგილდებარეობა, განათება, ამინდი, სმენადობა, ხილვადობა, მანძილი ობიექტამდე და სხვა.
- დროის ხანგრძლივობა ინფორმაციის მოწმისათვის ხელმისაწვდომიბის მომენტიდან ჩვენების მიცემამდე;
- ჩვენების მიცემის ვითარება;
- თავად მოწმის მდგომარეობა მოვლების აღქმის პროცესში.[28]

მაგალითისათვის, თუ მოწმე იყო შიშის მდგომარეობაში, ეს ხელს შეუწყობდა ფაქტის გაზვიადებულად აღქმას. მნიშვნელოვანია აგრეთვე,თუ როგორ ვითარებაში იმყოფებოდა მოწმე- ექსტრემალურ პირობებში თუ ჩვეულ სიტუაციაში.

მოწმე საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებებს აღიქვამს შეგრძნების ორგანოების საშუალებით. საგამოძიებო პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც საქმის მთელ რიგ გარემოებებს უპირისპირდება რომელიმე მოწმის ჩვენება, რომლის შემოწმებიტაც ძირფესვიანად იცვლება პოზიციები და ვერსიები.[29]

შესაძლებელია მოხდეს მოწმეთა ჩვენებების კატეგორიულად შეფასება მხოლოდ ერთადერთ შემთხვევაში, თუ ისინი დეტალურად და ზუსტად აღწერენ მოვლენას, როდესაც მის საუბარში არ შეიმჩნევა სხვასადზვა ვარაუდები და ყოყმანი.

---

[27] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლი 3(24) (ახ. რედ.)

[28] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, თბილისი 2015, გვ. 258-259

[29] ბ. ხარაზიშვილი, მტკიცებითი სამართალი, თსუ-ს გამომც. თბ. 1982, გვ.233-235

ჩვენდა სამწუხაროდ, შეუძლებელია მხოლოდ მოწმის პიროვნული თვისებებით, სოციალური ან თანამდებობრივი მდგომარეობით განვსაზღვროთ იგი დაკითხვის დროს სიმართლეს ამბობს თუ სიცრუეს. ამიტომ სასამართლოს აკისრია უდიდესი როლი, რათა მოხდეს მოწმის ჩვენების შესწავლა და სწორი შეფასების მიცემა.

სისხლის სამართლის საქმის განხილვისას უპირველეს ყოვლისა გამოკვლეული უნდა იყოს პირველადი მტკიცებულებები, რადგან ისინი უშუალო კავშირში არიან მომხდარ ფაქტთან და იძლევიან ცნობებს საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებებზე. გარდა ამისა სისხლის სამართლის პროცესში გვხვდება ირიბი მტკიცებულებებიც, როგორიცაა ირიბი ჩვენება. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს ირიბ ჩვენებას და მისი დასაშვებობის საკითხსაც. კერძოდ კი, „ირიბია მოწმის ის ჩვენება, რომელიც ეფუძნება სხვა პირის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას,“[30] ასევე „ირიბი ჩვენება დასაშვები მტკიცებულებაა მხოლოდ იმ შემთხვევაში,თუ ირიბი ჩვენების მიმცემი პირი მიუთითებს ინფორმაციის წყაროს, რომლის იდენტიფიცირება და რეალურად არსებობის შემოწმება შეუძლებელია.“[31] მთავარი და პირველი წყაროს დასახელების გარეშე შეუძლებელია მივხვდეთ: მიუკერძოებელია თუ არა მოწმე, ადრეტვე სწორად შეძლო თუ არა მან საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების აღქმა და გადმოცემა. აქედან გამომდინარე ირიბი ჩვენება დიდი რისკის შემცველია.

როგორც ყველა ნაწარმოები მტკიცებულება, ასევე ირიბი ჩვენებაც სარწმუნოების შედარებით დაბალი ხარისხით გამოირჩევა და თავდაპირველ მტკიცებულებებთან შედარებით ნაკლები მტკიცებულებითი ხარისხი გააჩნია, რადგან არსებობს ინფორმაციის დამახინჯების არამხოლოდ სუბიექტური, არამედ ობიექტური საფრთხე.

სსსკ-ის მოქმედი რედაქციის მიხედვით „ირიბი ჩვენების გამოყენება, იკრძალება გამამტყუნებელი განაჩენის და ბრალის დადგენილების დასაბუთებისათვის. ირიბი ჩვენების გამოყენება დაიშვება მხოლოდ საქმეში არსებული მტკიცებულებების და საგამოძიებო ვერსიების შემოწმების, დამატებითი მტკიცებულების მოძიების, მოწმის

[30] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბ. 2009, მუხლი 76 (ახ. რედ.).
[31] იქვე

ჩვენების იმპიჩმენტის, აღკვეთის ღონისძიების შეფარდების, ქონებაზე ყადაღის დადების, სამედიცინო დაწესებულებაში პირის მოთავსების, ჩხრეკა-ამოღების და სხვა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების განხორციელებისათვის."[32]

ყველაფერი ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ირიბ ჩვენებას უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება. სწორედ ირიბი ჩვენება იძლევა ინფორმაციას ისეთ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლის თანმიმდევრული კვლების შედეგად შესაძლებელი გახდეს დავაშაულის გახსნა და პასუხისმგებლობაში მიცემა, ან მისი არაბრალეულობის საკითხის გადაწყვეტა.

მოწმის ჩვენება საქმის გამოძიებისას უმნიშვნელოვანესი მტკიცებულებაა. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს ის გარემოება, რომ მოწმე საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებებს აღიქვამს საკუთარი შეგრძნების ორგანოებით . ამიტომ პრაქტიკაში ძალიან ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც გამოძიების ვერსიას უპირისპირდება ამა თუ იმ მოწმის ჩვენება. ეს კი ბადებს უამრავ პრობლემას, ამიტომ საგამოძიებო ორგანოებს დიდი დრო და ძალისხმევა ესაჭიროებათ კონკრეტულ საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად.

2.2.3 ნივთიერი მტკიცებულება. დოკუმენტი

საქართველოს სიხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ზუსტად განსაზღვრავს, თუ რა მიეკუთვნება ნივთიერ მტკიცებულებებს. „ნივთიერი მტკიცებულება არის საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი, რომელიც წარმოშობით, აღმოჩენის ადგილითა და დროით, ნიშანთვისებებითა და მასზე დარჩენილი კვალით დაკავშირებულია სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივ გარემოებასთან და შეიძლება დანაშაულის აღმოჩენის, დამნაშავის დადგენის ან ბრალდების უარყოფის თუ დადასტურების საშუალება იყოს."[33]

ნივთიერი მტკიცებულება, როგორც წესი, მატერიალური სამყაროს ნებისმიერი ობიექტია, რომლისთვისაც დამახასიათებელია მტკიცებულებითი ინფორმაციის

---

[32] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, თბილისი 2015, გვ. 269

[33] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბ. 2009, მუხლი 3(20) (ახ.რედ.)

ნიშან-თვისებები და რომელიც მოპოვებული და დართულია სისხლის სამართლის საქმეზე საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.[34] ნივთიერი მტკიცებულებებია მაგალითად ფეხის კვალი, თითის ანაბეჭდი, სიგარეტის ნამწვი, ადამიანის სისხლის კვალი, დოკუმენტები, სხვადასხვა ნივთიერებები, ვიდეო და აუდიო ჩანაწერები და სხვა.

გარდა ამისა, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო ადგენს, რომ შედარებითი კვლების ნიმუში შენაცვლებადი ნივთიერი მტკიცებულებაა. საპროცესო კოდექსის 77-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, საქმის არსებითი განხილვის დროს მხოლოდ ის მტკიცებულებაა დასაშვები, რომლის ავთენტიკურობაც დასტურდება. ამასთანავე, ნივთიერი მტკიცებულება უნდა დათვალიერდეს და დაილუქოს; დათვალიერებისას უნდა გამოვლინდეს და აღიწეროს ობიექტის ინდივიდუალური და გვარეობითი ნიშნები.[35]

ნივთიერ მტკიცებულებები მჭიდროდაა დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმესთან, რადგან მათზე აღბეჭდილია მტკიცებულებითი კვალი. ისინი

1. წარმოადგენენ დანაშაულის ჩადების იარაღსა და საშუალებას;
2. წარმოადგენენ დანაშაულის ჩადების საგანს;
3. შენარჩუნეს დანაშაულის სხვადასხვა კვალი;
4. წამოიქმნენ დანასაულის ჩადენის შედეგად;
5. წარმოადგენენ დამნაშავე პირის იდენტიფიცირების და მისი აღმოჩენის, ბრალდების დადასტურების ან უარყოფის საშუალებას. [36]

ნივთიერი მტკიცებულებების წარმომავლობის შესახებ ინფორმაცია მოიპოვება სისხლის სამართლი საქმეში. სწორედ ამ ინფორმაციის მეშვეობით დგინდება თუ რა კავშირი აქვს ამა თუ იმ მტკიცებულებას მოცემულ სისხლის სამართლის საქმესთან. მაგალითად, თუ სისხლის სამართლის საქმეში მთავარი ნივთიერი მტკიცებულება არის სისხლიანი იარაღი, რომელზედაც დატოვებულია დამნაშავის თითის ანაბეჭდები და უცნობია აღნიშნული დანის წარმომავლობა, ანუ სად და ვის მიერ

[34] ქ. ჩომახაშვილი და სხვები, მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ. 2016, გვ. 23
[35]საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბ. 2009, მუხლი.77(2) (ახ.რედ.)
[36] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, თბილისი 2015, გვ. 269

იქნა აღმოჩენილი, დაცვის მხარეს შეუძლია ამტკიცოს, რომ აღნიშნული დანა არ იყო გამოყენებული მკვლელობის ჩადენის დროს. მართალია, იარაღზე დატოვებულია ბრალდებულის თითის ანაბეჭდი, მაგრამ ძნელია იმის დადგენა, თუ როდის მოხვდა ეს კვალი ცივ იარაღზე. საგამოძიებო ოქმში აგრეთვე აისახება ნივთიერი მტკიცებულების წარმოშობის ყველა მნიშვნელოვანი მონაცემი, როგორებიცაა ადგილი, დრო, პირობები და მტკიცებულების დამახასიათებელი ნიშან-თვისებები. თავდაპირველად ხდება აღმოჩენილი ნივთის დათვალიერება და იმის დადგენა, აქვს თუ არა მას კავშირი მომხდარ ფაქტთან. კავშირის დადგენის შემდგომ დათვალიერების შედეგები აისახება დათვალიერების ოქმში და აღნიშნული ნივთიერი მტკიცებულება დაერთვება საქმეს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ნივთის დათვალიერება შეიძლება მოხდეს საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შემდგომაც.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 23-ე მუხლის მე-3 ნაწილის მეორე წინადადებით, დოკუმენტი მტკიცებულებაა, თუ ის შეიცავს სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების დასადგენად საჭირო ცნობას. დოკუმენტად ითვლება ნებისმიერი წყარო, რომელშიც ინფორმაცია აღბეჭდილია სიტყვიერ-ნიშნობრივი ფორმით ან/და ფოტო-, კინო-, ვიდეო-, ბგერისა თუ სხვა ჩანაწერის სახით ან სხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით.

დოკუმენტს მტკიცებულებითი ძალა ენიჭება სამი სპეციალური წინაპირობის არსებობისას:

1. ცნობილია მისი წარმომავლობა;
2. ავთენტიკურია;
3. შესაძლებელია დაიკითხოს პირი, რომელმაც შექმნა ან მოიპოვა, ან ვისთანაც ინახებოდა დოკუმენტი სასამართლოში წარდგენამდე.[37]

დოკუმენტის წარმომავლობა გულისხმობს იმას, რომ ცნობილია მისი შედგენის დრო, ადგილი, ვითარება, აგერთვე შემდგენელი პირი, ცვლილებების შეტანის საფუძველი და თარიღი და სხვა გარემოებები, რომლებიც მიუთითებს მის წარმომავლობაზე. დოკუმენტის ავთენტიკურობა ნიშნავს, რომ დოკუმენტი

[37] ქ. ჩომახაშვილი და სხვები, მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ. 2016, გვ. 24.

ნამდვილია, არ არის სახეშეცვლილი, მოდიფიცირებული. ავთენტიკურობაში ეჭვის შეტანის საფუძველი შესაძლებელია იყოს ხელმოწერის ნამდვილობა. მაგრამ ხშირია შემთხვევები, როდესაც მხარე შესაძლებელია სადავოდ არ ხდიდეს ხელმოწერის ნამდვილობას, მაგრამ სადავოდ ხდიდეს დოკუმენტის ტექსტუალურ ნაწილს და მიუთითებდეს, რომ ეს დოკუმენტი გაყალბებულია. ოფიციალური დოკუმენტი არის ავთენტიკური, თუ იგი შეიცავს შესაბამისი კატეგორიის დოკუმენტისათვის დადგენილ ყველა რეკვიზიტს: მითითებას გამომცემი ორგანოს შესახებ, უფლებამოსილი თანამდებობის პირის ხელმოწერას, ორგანიზაციის ბეჭედს, აგრეთვე სარეგისტრაციო ნომერს და სხვა მონაცემებს.

დოკუმენტი შესაძლოა სისხლის სამართლის საქმეზე წარმოადგენდეს ნივთიერ მტკიცებულებას.

დოკუმენტის დაყოფა ნივთიერ მტკიცებულებად და დოკუმენტად უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგან საქართველოს სისხლისსამართლის საპროცესო კოდექსი დოკუმენტებისგან განსხვავებით სპეციალურ წესებს ითვალისწინებს ნივთიერი მტკიცებულების შენახვისთვის, ადგენს ნივთიერი მტკიცებულების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესებს სისხლის სამართლის პროცესის დამთავრებამდე და დამთავრების შემდეგაც.

დოკუმენტის ავთენტიკურობის დადგენისათვის არსებობს უამრავი ხერხი და საშუალება, რომელთა ურიცხვი რაოდენობის გამო ჩამოთვლა პრაქტიკულად შეუძლებელია. დოკუმენტის ავთენტიკურობა ფასდება სისხლის სამართლის საქმეში არსებოლი მტკიცებულებების ერთობლიობიდან გამომდინარე.

როგორც წესი, დოკუმენტური მტკიცებულება დიდი მოცულობისაა, მაგრამ მასში მითითებული ინფორმაციის დიდი ნაწილი საერთოდ არ არის მნიშვნელოვანი სისხლის სამართლის საქმისთვის და მხოლოდ რამდენიმე მონაცემს ენიჭება მნიშვნელობა.

2.2.4 ექსპერტის დასკვნა

ექსპერტიზა ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს სპეციალისტების მიერ რაიმეს გამოკვლევას, განხილვას სწორი დასკვნს მისაცემად ამა თუ იმ საკითხის თაობაზე. ექსპერტიზა არის სპეციალური ცოდნის გამოყენებით გამოკვლევის ჩატარება და წერილობითი დასკვნის გამოტანა სისხლის სამართლის საქმეზე, საქმსათვის მნიშვნელობანი გარემოებების შესახებ.[38]

თანამედროვე სამეცნიეროტექნიკურ განვითარებასთან ერთად ექსპერტიზაც ფართო მასშტაბებს იძენს. ეს არის სპეციალური ცოდნის გამოყენების კვალიფიციური ფორმა. იგი მნიშვნელოვნად აფართოებს გამოძიებისა და სასამართლოს შესაძლებლობებს.

ექსპერტიზა მუდმივად განიცდის ცვლილებას , მეცნიერებაში ჩნდება კვლევის ახალი მეთოდები, აგრეთვე ხდება ძველი მეთოდების სრულყოფა. ექსპერტიზას ატარებს სპეციალური გამოცდილების მქონე ადამიანი. ექსპერტიზის ობიექტებს წარმოდგენენ საგნები და ადამიანები, რომლებიც შეიცავენ სხვადასხვა სახის ინფორმაციას მოვლენებისა და ფაქტების შესახებ.

ექსპერტიზის ობიექტებია ნივთიერი მტკიცებულებები, დოკუმენტები, გვამები და მრავალი სხვა. გამოძიების მთელი პროცესის მანძილზე მტკიცებულებებს ცენტრალური როლი უკავიათ. სწორედ ამიტომ, საქმის არსებითი გარემოებების დასადგენად ექსპერტიზის ჩატარება ეფექტური საშუალებაა. იგი წარმოადგენს საგამოძიებო მოქმედებას და გამოიხატება ექსპერტის წინაშე კითხვების დასმაზე. გამოძიების მიერ დასმული კითხვების პასუხის გასაცემად აუცილებელია სპეციალური ცოდნისა და კვლევის ჩატარების უნარი.

ექსპერტიზა ტარდება ორ სხვადასხვა შემთხვევაში:

1. თუ მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების სათანადო დარგის ექსპერტთა მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივ გარემოებათა დადგენა.

[38] მ. ლომსაძე, ექსპერტიზის დანიშვნის საფუძველი, სახეები და ექსპერტის წინაშე დასასმელი კითხვები გამოძიების პროცესში, თბ. 2016, გვ.11.

2. თუ სხეულს ან ინფორმაციის შემცველ ობიექტს აჩნევია საქმისთვის მნიშვნელობის მქონე კვალი, ნისანი ან თავისებურება, რომლის სწორად გაგება და არქმა სპეციალური ცოდნის გარეშე შეუძლებელია.[39]

სისხლის სამართლის საქმეში მონაწილე მხარეებსა და სასამართლოს ექსპერტი უწევს დახმარებას:

- იგი მათ აწვდის ინფორმაციას მეცნიერების ცალკეული დარგებიდან;
- იგი ადგენს ისეთ ფაქტებს, რომლის შეცნობა და დადგენა მხოლოდ სპეციალური ცოდნისა და გამოცდილების ქონის შედეგად არის შესაძლებელი;
- იგი ჩატარებული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით აკეთებს დასკვნებს.[40]

საჭირო გამოკვლევის ჩატარების შემდგომ ექსპერტი ადგენს წერილობით დასკვნას, რომელსაც ადასტურებს ხელმოწერით.

ექსპერტის უფლებამოვალეობები სრულადაა რეგლამენტირებული საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, რომლის თანახმადაც, ექსპერტს აქვს უფლება:[41]

- გაეცნოს საექსპერტო კვლევისათვის საჭირო მასალას, ამოიწეროს ყველა საჭირო ცნობა და გადაიღოს ასლი;
- მოითხოვოს დამატებითი მასალის წარდგენა, გამოკვლევის პროცესში აიღოს მასრის, ტყვიისა და სხვა ობიექტების საცდელი ნიმუში , ექსპერტიზის ჩატარების ინიციატორს მოსთხოვოს საექსპერტო კვლევისათვის საჭირო დამატებითი ინფორმაცია;
- უარი თქვას დასკვნის მიცემაზე და ექსპერტიზის გაგრელებაზე, თუ დასმული საკითხები სცილდება მისი ცოდნის ფარგლებს ან თუ მისთვის წარდგენილი მასალა საკმარისი არ არის დასკვნის მისაცემად;
- ექსპერტიზის ჩატარების ინიციატორის, გამომძიებლის, პროკურორის, სასამართლოს ნებართვით დაესწროს საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებას;

---

[39] მ. ლომსაძე, ექსპერტიზის დანიშვნის საფუძველი, სახეები და ექსპერტის წინაშე დასასმელი კითხვები გამოძიების პროცესში, თბ. 2016, გვ.12

[40] გ. თუმანიშვილი, სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ. 2014, გვ: 183-184

[41] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბ. 2009 მუხლი 52 (ახ. რედ.)

- მონაწილეობა მიიღოს ექსპერტიზის საგანთან და საექსპერტო კვლევასთან დაკავშირებული მტკიცებულებების გამოკვლევაში;

ექსპერტი ვალდებულია იყოს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი. არ აქვს მნიშვნელობა, თუ რომელი მხარის მიერაა იგი მოწვეული. ექსპერტის დასკვნას აუცილებლად თან უნდა დაერთოს გამოკვლევის ცატარების შემდგომ დარჩენილი ნივთები, ნიმუშები, ფოტოსურათები და ყველა ის მასალა, რომელიც ადასტურებს ექსპერტიზის დასკვნას. დასკვნა შესაძლოა ფორმირებული იყოს სხვადასხვა სახით. ექპერტიზის დასკვნის სამგვარი ფორმა არსებობს: კატეგორიული დასკვნა, უარის თქმა დასკვნის მიცემაზე და სავარაუდო დასკვნა.

ექსპერტიზის კატეგორიული დასკვნა არსებობს ორი სახის: დადებითი და უარყოფითი. კატეგორიული დადებითია დასკვნა, როდესაც ექსპერტი ადასტურებს კონკრეტული ფაქტის ან მოვლენის არსებობას, ხოლო უარყოფითი დასკვნის დროს პირიქით, ექსპერტი არ ადასტურებს ასეთების არსებობას.

უარის თქმა დასკვნის მიცემაზე მაშინ გვაქვს, როცა ექსპერტისათვის დასმული საკითხები სცილდება მისი ცოდნის ფარგლებს, ან თუ მისთვის წარდგენილი მასალები საკმარისი არ არის დასკვნის მისაცემად.

სავარაუდოა ექსპერტის დასკვნა, როდესაც იგი გამოთქვამს მხოლოდ ვარაუდს კონკრეტული მოვლების ან ფაქტის შესახებ.

2.3. ნივთიერი მტკიცებულების ცნება და სახეები

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ზუსტად განსაზღვრავს ნივთიერ მტკიცებულებათა სახეებს. კოდექსის მიხედვით ესენია:

1. დანაშაულის იარაღი
2. დანაშაულებრივი ქმედების საგანი და მასზე დარჩენილი დანასაულის კვალი
3. დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ფული და ფასეულობა
4. ყველა სხვა საგანი, რომელიც შეიძლება იყოს დანაშაულის აღმოჩენის, დანაშაულის ჩამდენის დადგენის ან ბრალდების უარყოფის საშუალება.[42]

[42] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბ. 2009, მუხლი 121(ახ. რედ.)

საგნები, რომლებიც ფლობენ ნივთიერი მტკიცებულების ნიშნებს დაყოფილია რამოდენიმე სახედ. ეს დაყოფა პირობითია, რადგან ერთი და იგივე საგანი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება სხვადასხვა ხარისხით გამოვიდეს. მაგალითისთვის ავიღოთ დანა, რომლითაც პირმა მიიღო სხეულის დაზიანება, შეიძლება იყოს საგანი, რომელზეც აღბეჭდილია დანაშაულის კვალი, ასევე დანაშაულის იარაღი და აგრეთვე საგანი, რომლითაც შეიძლება მოხდეს დანაშაულის გახსნა და დამნაშავე პირის დადგენა. ამიტომ ეს ყველაფერი გათვალისწინებული უნდა იქნეს ნივთიერი მტკიცებულების ცალკეული სახის განხილვის დროს.

2.3.1 დანაშაულის იარაღი და საშუალება. დანაშაულებრივი ქმედების საგანი

სისხლის სამართლის პროცესში უაღრესად დიდი მტკიცებულებითი მნიშვნელობა ენიჭება საგნის, როგორც დანაშაულის იარაღის განსაზღვრას. ზოგიერთ ნორმატიულ აქტში ასეთად მიჩნეულია ცეცხლსასროლი იარაღი, დანა ან სხვა ცივი იარაღი, ასევე ყველა ის საგანი, რომელიც სპეციალურად იყო მომზადებული, მომარჯვებული სხეულის დაზიანების მისაყენებლად, აგრეთვე, ავტომობილი ან სხვა სატრანსპორტო საშუალება, რომელიც ეკუთვნოდა პირს, ვისი პასუხისგებაში მიცემაც მოხდა ქურდობის, ყაჩაღობის თუ სხვა დანაშაულებისათვის და რომლებიც განხორციელდა აღნიშნული საშუალებების გამოყენებით, აგრეთვე ნავი და სხვა მცურავი საშუალება, რომელთა მეშვეობითაც განხორციელდა ან გაადვილდა დანაშაულებრივი ქმედება და ა.შ.[43]

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ზოგიერთი მკვლევარი დანაშაულის იარაღად მიიჩნევს მხოლოდ ტექნიკურ მოწყობილობას, ხოლო ზოგიერთი ამის გარდა, იარაღს მიაკუთვნებენ ბუნებრივ დაუმუშავებელ მასალას, საწვავ ნაერთებს, ქიმიურ რეაქტივებს და სხვა.

---

[43] ს. ჭელიძე, ნივთიერ მტკიცებულებათა გამოყენების პრობლემების მკვლელობის საქმეთა გამოძიების პროცესში, საკანდიდატო დისერტაცია, თბ. 2005წ, გვ.42-43

იურიდიულ ლიტერატურაში ხშირად გვხვდება ტერმინი დანაშაულის ჩადენის საშუალება. ესაა იარაღი, ანუ საგანი ან მოწყობილობათა ერთობლიობა, რაიმე საქმიანობის განსახორციელებლად, ხოლო იარაღი თავისთავად წარმოადგენს ტექნიკურ მოწყობილობას, რომლის დახმარებითაც სრულდება რაიმე სამუშაო ან მოქმედება.

დანაშაულის იარაღი შეიძლება იყოს მატერიალური სამყაროს, როგორც ტექნიკურად დამზადებული, დამუშავებული, ასევე ბუნებრივი, დაუმუშავებელი მასალა, რომელიც ადამიანის მიერ განზრახ ან გაუფრთხილებლობით მიმართული იქნა დანაშაულის მოსამზადებლად, ჩასადენად ან დასაფარავად.

სამართლებრივ ლიტერატურაში განხილულია დანაშაულის იარაღის სხვდასხვაგვარი კლასიფიკაცია, რომელთაგან ყველაზე სრულყოფილი ჩემი აზრით ეკუთვნის ს.სირკოვს. მიუხედავად იმისა, რომ მისი ნაშრომი წინა საუკუნით თარიღდება, დღემდე არ კარგავს აქტუალობას. ის ამას შემდეგნაირად აკეთებს:

1. ხელყოფის საგნის ანუ დანაშაულის სახის მიხედვით : ა. მკვლელობის, ბ. გატეხვის, გ. ხანძრის გაჩენის და .შ. იარაღები.

2. ზემოქმედების ხასიათის მიხედვით: ა. მექანიკური მოქმედების, ბ. ცეცხლსასროლი, ასაფეთქებელი მოწყობილობა, ფეტქებადი ნივთიერება, გ. თერმული მოქმედების, დ. იარაღი, რომლის მოქმედებაც ეფუძნება ელექტროენერგიის, რადიაქტიული, რენტგენის სხივების გამოყენებას, ე. ქიმიური, ვ. ბიოლოგიური ზემოქმედების, ზ. იარაღი, რომლის მოქმედებაც ეფუძნება რამდენიმე პროცესის გამოყენებას.

3. სირთულის მიხედვით შეიძლება იყოს: ა. ჩვეულებრივი, ბ. შემადგენელი, გ. რთული, დ. მანქანა, ე. ავტომატური მოწყობილობა.

4. დანაშაულების მიხედვით: ა. საგანი ან ნივთიერება, სპეციალურად დამზადებული ან გამოყენებული მხოლოდ დანაშაულის ჩასადენად, ბ. იარაღი, გ. საგანი, ინსტრუმენტი, მოწყობილობა და ნივთიერება, გამოყენებული სამრეწველო ,

სამეურნეო, სამეცნიერო ან სხვა საქმიანობისათვის, დ. საყოფაცხოვრებო საგნები, ე. სხვა საგნები და ნივთიერებები. [44]

კრიმინალისტიკურ იურიდიულ ლიტერატურაში უფრო მეტად გავრცელებულია ცეცხლსასროლი იარაღების დაყოფა დამზადების წესის, დანიშნულების, ავტომატურობის, ვაზნათა რაოდენობის, ლულათა რაოდენობის, ყალიბისა და ლულის სიგრძის მიხედვით. აქედან:

1. დამზადების წესის მიხედვით ერთმანეთისაგან განასხვავებენ :ქარხნულს, კუსტარულს და კუსტარულს.
2. დანიშნულების მიხედვით - საბძოლოს, სამონადირეულს და სპორტულს.
3. ავტომატურობის მიხედვით - არაავტომატურს, ავტომატურ და თვითდენადს.
4. ვაზნათა რაოდენობის მიხედვით - ერთვაზნიანს, ორვაზნიანს და მრავალვაზნიანს.
5. ლულათა რაოდენობის მიხედვით - ერთ, ორ და მრავალლულიანს.
6. ყალიბის მიხედვით : მცირე, საშუალო და მსხვილკალიბრიანს.
7. ლულის სიგრძის და ლულის შინაგანი აგებულების მიხედვით : გრძელს, მოკლეს, საშუალოს, ხრახნისნს, ნაწილობრივხრახნიანს და გლუვლულიანს.[45]

ფეთქებადი იარაღი დამზადების მიხედვით შეიძლება იყოს ქარხნული, კუსტარული, ხოლო დანიშნულების მიხდევით - სასწავლო და საბრძოლო.[46]

კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში აფეთქებად მიჩნეულია შეზღუდულ მოცულობაში არსებული დიდი რაოდენობით ენერგიის სწრაფი გათავისუფლება ანმექანიკური საქმიანობის სწრაფი გამოვლენა, გამოწვეული შეკუმშული გაზის ან ორთქლის უეცარი გაფართოებით. აფეთქების მიზეზად ითვლება სისტემის ფიზიკური მდგომარეობის უეცარი შეცვლა, სწრაფი ეგზოთერმული, ქიმიური, ატომური ან თერმოატომური რეაქცია, ელექტრომაგნიტური ენერგიის

[44] Сырков С.М. Орудия преступления. Авт. дис. канд. юр. наук. Ленинградю.,1937.СТР.6

[45] ა. ფალიაშვილი, კრიმინალისტიკა, თბ. 2000. გვ.188

[46] ა. ქოჩიაშვილი, პირველადი და გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებანი. თბ. 2001.გვ. 92

გამონტავისუფლება და ა.შ. ამისდა შესაბამისად, განასხვავებენ ფიზიკურ, ქიმიურ, ატომურ, ელექტრომაგნიტურ და ზოგიერთი სხვა სახის აფეტქებას.[47]

არსანიშნავია, რომ საბჭოთა კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში ფეთქებადი მოწყობილობებისა და აფეთქების კვალთა სახითხი დიდი ხნის მანძილზე დახურული იყო, თუმცა უკანასკნელ წლებში აღნიშნული იარაღით ჩადენილი დანაშაულების ზრდამ მივიწყებული და აკრძალული თემა უაღრესად აქტუალური გახადა. [48]

ფეთქებად ნივთიერებებს მიეკუთნება ვიწრო წრე ნივთიერებებისა, რომლებიც დამზადებულია სამრეწველო პირობებში და რომლებმაც პრაქტიკული გამოყენება ჰპოვეს ფეთქებადი თვისებების გამო. განსაკუთრებული გავრცელება ჰპოვა ცალკეული დანაშაულების ჩადენისას კუსტარულ პირობებში დამზადებულმა ფეთქებადმა ნივთიერებამ, იარაღმა, რომლის გამოყენების თავსებურებების შესწავლა განსაკუთრებულ ყურადღებას და დაკბირვებას საჭიროებს. ამან გამოიწვია ტერორისტული აქტების გახშირება მთელ მსოფლიოში.

საგამოძიებო პრაქტიკაში გაიზარდა სამხედრო დანიშნულების იარაღის გამოყენების ფაქტები. ესენია ფეთქებადი მოწყობილებები : МОН-50, МОН-100 და სხვა. ასევე გვხვდება მათგან განსხვავებული ვაზნები თუ მოწყობილობები : სამშენებლო-სამონტაჟო, ფუჭი, გამანათებელი აირის მჟეჟავი მოქმედების, საქონლის დასახოცი, სასწავლო-სავარჯიშო, საცდელი ვაზნები და სხვა.[49]

კრიმინალისტიკურ მეცნიერებაში ცივ იარაღად მიჩნეულია ისეტი იარაღი, რომლის დანიშნულებაა ადამიანის კუნთების ძალის დახმარებით მიზნის დაზიანება ობიექტთან უშუალო კონტაქტით. ესენია :

1. მჭრელპირიანი იარაღი - დაშნა, ხმალი, ნაციონალური, სამონადირეო, საბრძოლო დანა და ა.შ.

---

[47] Свенсон А., Вендель О. Раскритие преступлении. Современные методы расследования уголовных дел. М., 1957. стр. 255

[48] Плескачевский В.М. Оружия в криминалистике – понятие и классификацияю изд. ‘’Спарк’’. М.,2001. стр.283-285

[49] ა. ფალიაშვილი, კრიმინალისტიკა, თბ. 2000. გვ. 215

2. სხვა მჭრელი, მჩეხავი, ,ჩხვლეტავიი ან ერთობლივი მოქმედების - საბრძოლო ნაჯახი და ა.შ.

3. დამტყმელ-გამაპობელი მოქმედების იარაღო.[50]

გამანადგურებელი მოქმედების პრინციპის მიხედვით, ცივი იარაღი იყოფა : მჩხვლეტავ, მჩხვლეტავ-მჩეხავ, მჩხვლეტავ-მჭრელ, მჭრელ და დამრტყმელ-გამაპობელ იარაღებად.

დამრტყმელ-გამანადგურებელი ნაწილის მოწყობილობების მიხედვით განასხვავებენ მწრელპირიან, არამწრელპირიან და კომბინირებულ იარაღები.

ცივი იარაღი შეიძლება მასკირებული იქნას ხელჯოხით, ავტოკალმის, საათის თუ სხვა საგნების ქვეშ.

დამზადების წესის მიხედვით განასხვავებენ :

ა) ქარხნულ - რომელიც კონსტრუქციით შეესაბამება ტექნიკურ პირობებს, სტანდარტებს და გააჩნია სამარკო გამოსახულება.

ბ) კუსტარულ - რომელიც მზადდება იარაღის ოსტატების მიერ გარკვეული სტანდარტებით, ნიმუშებით და ა.შ.

გ) თვითნაკეთ იარაღებს - რომლებიჩ დამზადებულია პირთა მიერ, ვისაც სპეციალური პროფესიული ცოდნა არ გააჩნია.

ზუსტი ჩამონათვალის გაკეთება იმ იარაღისა, რომელითაც დანაშაულებრივი ქმედება განხორციელდა, შეუძლებელია და პრონციპში ამას არანაირი პრაქტიკული მნიშვნელობა არ გააჩნია. მთავარია, დადგიმდეს მისი კავშირი საზოგადოებრივად საშიშ ქმედებასთან, აგრეთვე ის, გამოყენებული იქნა იგი დამნაშავის მიერ განზრახ თუ გაუფრთხილებლობით.

[50] ს. ჭელიძე, ნივთიერ მტკიცებულებათა გამოყენების პრობლემების მკვლელობის საქმეთა გამოძიების პროცესში, საკანდიდატო დისერტაცია, 2005წ, გვ.48

2.3.2 დანაშაულებრივი ქმედების შედეგად დარჩენილი კვალი. დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ფული და ფასეულობა

დანაშაულებრივი შემთხვევის გახსნა და მათი გაუხსნელობის მინიმუმამდე დაყვანა შესაძლებელია, თუ ოპერატიულად, შესაბამისი სამეცნიერო-ტქნიკური საშუალებების გამოყენებით შევძლებთ დანაშაულის გახსნის ხელისშემშლელი სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების აღმოფხვრას.

კრიმინალისტიკური ტექნიკა წარმოადგენს კრიმინალისტიკის დამოუკიდებელ დარგს, რომელსაც თანამედროვე პირობებში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება დანაშაულის გახსნისა და გამოძიების საქმეში.

ტრასოლოგია ეს არის სპეციალური იურიდიული მეცნიერება, რომელიც საპროცესო კანონმდებლობის სრულ შესაბამისობაში სწავლობს კვალთა და სხვა მტკიცებულებათა ეფექტური აღმოჩენის, ფიქსირების, გამოკვლევისა და გამოყენების კანონზომიერებას, ასევე იმ ტაქტიკურ ხერხებსა და ცალკეული დანაშაულის გამოძიების მეთოდიკას, რომელიც საჭიროა გამოძიების წარმართვისათვის. „ტრასოლოგია“ ფრანგული სიტყვაა და მოძღვრებას კვალთა შესახებ ნიშნავს (trace-კვალი, logos-მოძღვრება).[51]

1929 წლის ბოლოსთვის გერმანიაში შედარებით საგრძნობი მიღწევები იგრძნობოდა მედიცინის განვითარების დარგში, რომლის ყველაზე გამორჩეული წარმომადგენელი იყო რიჰარდ კოკელი. მას დიდმა ცოდნამ და გამოცდილებამ საშუალება მისცა გადაელახა სასამართლო მედიცინის საზღვრები. სასამართლო მედიცინის ახალმა ტექნიკამ მოიცვა ცეცხლსასროლი იარაღის გამოძიებათა სფერო, მტვრისა და ბიოლოგიური ანალიზების კვალი, დაწყებული ქსოვილების ძაფებიდან, დამთავრებული ხელწერის შედარებით.[52]

ტრასოლოგია კრიმინალისტიკური ტექნიკის დარგია, რომელიც შეიმუშავებს სამეცნიეროტექნიკურ საშუაებებსა და მეთოდებს კვალთა აღმოჩენის, ფიქსირებისა

---

[51] რ. გოგშელიძე, ა. ფალიაშვილი, კრიმინალისტიკა, თბ. 2009, გვ.144

[52] ი. ტორვალდი, კრიმინალისტიკის ასი წელი, თბ. 1978

და გამოკვლევისათვის იმ მიზნით, რომ დადგენილ იქნეს დანაშაულთან და მის ჩამდენ პირთან დაკავშირებული ფაქტები, აგრეთვე კვალის წარმოშობის მექანიზმი.

ტრასოლოგიური გამოკვლევა ეფუძნება იმას, რომ ყოველი ცოცხალი არსება, ნივთი, საგანი სამყაროსი ინდივიდუალურია და ამავე დროს განსხვავებული სხვა საგნისგან. სერიული წესით წესით დამზადებული საგნებიც კი, მათი მსგავსების მიუხედავად ინდივიდუალურია, მაგრამ მარტო ის ფაქტი, რომ სამყაროში ყველაფერი ინდივიდუალურია, საკმარისი არ არის ტრასოლოგიური გამოკვლევისათვის. ამავე დროს, აუცილებელია, რომ კვალის წარმომქმნელი ობიექტის ნიშან თვისებები გადავდეს სხვა ობიექტზე ანუ კვალის მიმღებ ობიექტზე და რეალური მტერიალური ასახვა პოვოს. თუ კვალი არ აისახება მისი გამოკვლევა შეუძლებელია. ყოველი კვალი და საგნის ნიშან- თვისება, რომელიც აისახება გამოსაკვლევ ობიექტში, შედარებით უცვლელი უნდა იყოს, ე.ი. გარკვეული დროის მონაკვეთში თვისებრივად არ უნდა იცვლებოდეს.[53]

ტრასოლოგიური გამოკვლევის დროს უამრავი სახის კვალთან გვაქვს საქმე, ამიტომ საჭიროა მათი სისტემაში მოყვანა და კლასიფიკაცია გარკვეული ნიშნის საფუძველზე, რაც აადვილებს მათ ფიქსირებასა და გამოკვლევას. ამავე დროს საჭიროა და აუცილებელიც, რომ კვალი იყოს საკმარისი და ვარგისი გამოკვლევისათვის. თუ კვალთ გამოკვლევა შეუძლებელია არსებული მეთოდიკის გამოყენების საფუძველზე მისი სიმცირისა თუ უვარგისობის გამო, ექსპერტმა უნდა მისცეს დასკვნა მის წინაშე დაყენებული საკითხის გადაწყვეტის შეუძლებლობის შესახებ.

კრიმინალისტიკაში კვალი ფართო და ვიწრო გაგებით გვხვდება. ფართო გაგებით მას მიეკუთვნება ყველა სახის ცვლილება, რომელსაც ადგილი ჰქონდა დანაშაულის მზადების, ჩადენისა და დაფარვის პროცესში. მაგალითად, ისეთი ცვლილებები, რომელიც გამოწვეული იყო პირის მოქმედებით, საგნების გადაადგილებით,ამოღებით, სახეცვლილებით, დაზიანებით, ობიექტის ურთიერთმოქმდების დროს ზედაპირის შეცვლით, მიკრონაწილაკების გადასვლით

[53] შ. ფაფიაშვილი, კრიმინალისტიკა (ზოგადი ნაწილი), თბ. 2013, გვ. 15

ერთი ობიექტიდან მეორეზე, საგანთა და კვალთა ყოველგვარი სხვა სახეცვლილება მექანიკური, სითბური თუ ქიმიური ზემოქმედების შედეგად. [54]

ვიწრო გაგებით კვალს მიეკუთვნება ერთი ობიექტის მატერიალურ- ფიქსირებულ ნიშან-თვისებათა ასახვა მეორე ობიექტზე. აქ იგულისხმება, მაგალითად, ხელის კვალი, ფეხის კვალი, სატრანსპორტო საშუალებათა კვლი, გატეხვის იარაღი და ხელსაწყოების კვალი და ა.შ. ტრასოლოგია კვალთა გამოკვლევას შეისწავლის ძირითადად ვიწრო გაგებით.

ობიექტის ტრასოლოგიური გამოკვლევის შედეგად წყდება ისეთი საკითხები, რომლთაც მნიშვნელობა აქვთ დანაშაულის გახსნისა და ჭეშმარიტების დადგენის პროცესში. ტრასოლოგიური გამოკვლევის შედეგად გადასაწყვეტი საკითხები შეიძლება დაიყოს ჯგუფებად.

პირველ ჯგუფს განეკუთვნება ისეთის საკითხები, როდესაც ტრასოლოგიური გამოკვლევის შედგად ხდება კონკრეტული ობიექტის დადგენა - ინდივიდუალური იდენტიფიკაცია. მაგალითად, ფეხის კვალი დატოვებულია კონკრეტული პირის მიერ, სატრანსპორტო საშუალბათა კვალი დატოვებულია კონკრეტული საბურავით და ა.შ.

მეორე ჯგუფია, როდესაც ტრასოლოგიური გამოკვლევის შედეგად ხდება ჯგუფური კუთვნილების განსაზღვრა. მაგალითად, ფეხის კვალი დატოვებულია კონკრტული ზომის ფეხსაცმლით; თითის ანაბეჭდში ასახული ხვეულის ქარგა.

მესამე ჯგუფში შედის პიროვნებისთვის დამახასიათებელი ნიშნები. მაგალითად, ფეხის კვალთა მიხედვით სიარულის თავისებურება, სიარულის მიმართულება, ნაბიჯის სიგრძე და ა.შ.

მეოთხე ჯგუფს განეკუთვნება ისეთები, რომლებიც განსაზღვრავს კვალის წარმოშობის მექანიზმს. მაგალითად, სითბური კვალი, მექანიკური კვალი, კვალი აღმოცენებული შეხებით, გადაგდებით, ხახუნით, გაბურღვით და ა.შ. და ბოლოს

მეხუთე ჯგუფს განკუთვნება ისეთი კვლები, რომლებიც ადგენენ ან ხსნიან შემთხვევის ადგილის ცალკეულ გარემოებას. მაგალითად; პირთა რაოდენობას

[54] შ. ფაფიაშვილი, დაქტილოსკოპია და მისი როლი დამნაშავეობასთან ბრძოლის საქმეში, თბ. 1999, გვ. 144

დანაშაულის ჩადენის დროს, შენობაში შეღწევის ხერხს, კვალის დატოვების დაახლოებით დროს, საკეტების გაღების ხერხს (გარედან თუ შიგნიდან) და სხვა.[55]

კვალთა ტრასოლოგიური გამოკლვლევა შესაძძებელი ხდება მეცნიერული, პრინციპული სახის დებულეებით, რომელთა გათვალისწინება საჭიროა ყველა შემთხვევაში. მათ მიეკუთვნება კვალთა ინდივიდუალობა, საგნის ნიშან- თვისებად ასახვის უნარი, კვალთა ნიშან-თვისებათა შედარებითი უცვლელობა, კვალთა კლასიფიკაციის შესაძლებლობა. კვალთა კლასიფიკაციას ტრასოლოგიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. მიღებულია კვალთა კლასიფიკაცია გარკვეული ნიშნების მიხევით. ასეთ დაყოფას საფუძვლად უდევს ორი ზოგადი ნიშანი: კვალის წარმოქმნის სახე და მისი მექანიზმი. კვალის წარმოქმნის სახის მიხედვით უნდა განვსაზღვროთ კვალის წარმოქმნელი და მიმღები ობიექტი.

ნივთიერ გარემოში შესული ცვლილებებიოს ხასიათის მიხედვით არსებობს: 1. კვლები- საგნები,2. კვლები- ნივთიერებები, 3. კვლები- გამოსახულებები.

კვალი-საგანი - ესაა მყარი ფორმის ობიექტი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მისი წარმოშობის მექანიზმზე, საშუალებებზე.

კვალი-ნივთიერება - ესაა სითხისმაგვარი, ფხვიერი სუბსტანცია ან მათი კვალი, რომელთა წარმოშობა მიზეზობრივ კავშირშია დანაშაულის მომზადებასთან, ჩადენასთან ან დაფარვასთან. მას მიეკუთვნება ბიოლოგიური წარმოშობის სისხლი, სპერმა, ოფლი, ნერწყვი\ საწვავ-საცხები მასალის, ქიმიური რეაქტივების და სხვა კვლები.

კვალი-გამოსახულება წარმოიშობა ორი ობიექტის ურთიერთმოქმედების შედეგად: ის, რომელიც იღებს კვალს ეწოდება კვალისმიმღები, ხოლო რომელიც მას ტოვებს კვალისწარმომქმნელი.

რაც შეეხება კვალთა კლასიფიკაციას მათი წარმოქნის მექანიზმის მიხედვით, ტრასოლოგიაში მიღებულია შემდეგი დაყოფა: კვალის მიმღები ობიექტის ზედაპირის დეფორმაციის, კვალის წარმომქნელი ობიექტის მოძრაობის,

[55] რ. გოგშელიძე, ა. ფალიაშვილი, კრიმინალისტიკა, თბ. 2009, გვ. 145

საკონტაქტო ზედაპირის ცვალებადობისა და კვლის მიმღებ ობიექტზე ზემოქმედების სახის მიხედვით.

კვალის მიმღები ობიექტის ზედაპირის დეფორმაციის მიხევით შეიძლება იყოს მოცულობითი (ჩაღრმავებული და ზედაპირული კვალი).[56] მოცულობითი კვალია როდესაც იკვეთება კვალის მიმღები ობიექტის საკონტაქტო ზედაპირი. მოცულობითი კვალი წარმოიქმნება იმ ძალის შედეგად, რაც განიცადა კვალის მიმღებმა ობიექტმა. მოცულობითი კვალის წარმომქმნისათვის აუცილებელია, რომ კვალის მიმღებ ობიექტს ჰქონდეს უფრო რბილი ზედაპირი, ვიდრე კვალის წარმოქმნელ ობიექტს. მოცულობით კვალს მიეკუთვნება მაგალითად: ადამიანის ფეხის ჩაღრმავებული კვალი მიწი ზედაპირზე, ადამიანის თითის ანაბეჭდის ჩაღრმავებული კვალი კარაქზე და ა.შ.

ზედაპირული კვალი, როდესაც კვალის მიმღები ობიექტის საკონტაქტო ზედაპირი არსებითად არ იცვლება და მასზე აღიბეჭდება კვალი. ზედაპირული კვალი თავისთავად იყოფა ორ ქვესახედ: დაშრევებული და აშრევებული კვალი. ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც კვალის მიმღებ ობიექტზე აღიბეჭდება კვალი, ტრასოლოგიაში იწოდება როგორც დაშრევებული კვალი. მაგალითად: ადამიანის თითის კვალი დატოვებული მინაზე ან სხვა გლუვ ზედაპირზე. ამ შემთხვევაში კლვალი დაშრევებულია იმიტომ, რომ ადამიანის თითის ბალიშზე არსებული ნასვრეტებიდან ანუ ფორებიდან გამოიყოფა ოფლი და მარილები, რაც გადადის მიმღებ ობიექტზე და წარმოიქმნება დაშრევებული კვალი.

კვალის წარმომქნელი ობიექტის მოძრაობის მიხედვით ტრასოლოგიაში განასხვავებენ სტატიკურ და დინამიკურ კვალს.

სტატიკურია კვალი, როდესაც კვალის წარმომქნელი ობიექტი, როგორც წესი, უძრავ მგომარეობაში ტოვებს ანაბეჭდს კვალის მიმღებ ობიექტზე. ამ შემთხვევაში კვალის მიმღებ ობიექტზე გარკვვით არის ასახული კვალის წარმომქნელი ობიექტის ზომა, მისი ნიშან-თვისებები და ინდივიდუალური ნიშნებიც კი. ამ სახის კვლებს მიეკუთვნება, მაგალითად: დარტყმის, დაწოლის ზემოქმედების დროს ან დაცემისას

[56] შ. ფაფიაშვილი, კრიმინალისტიკა (ზოგადი ნაწილი), თბ. 2013, გვ. 159

წარმოქნილი კვალი, თითის ანაბეჭდი, ფეხის კვალი ან სატრანსპორტო საშუალების საბურავის კვალი და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ კვალის წარმომქნელი ობიექტი ზოგჯერ მოძრაობს კიდეც, მაინც დროის უმცირეს მონაკვეთში, იგი უძრავად შეეხება კვალის მიმღებ ობიექტს და ტოვებს ანაბეჭდს ანუ სტატიკურ კვალს.

დინამიკურია კვალი, როდესაც კვალის წარმომქნელი ობიექტი მოძრაობის დროს ტოვებს კვალს. ამ სახის კვალის წარმოქმნის დროს შეიძლება მოძრაობდეს ორივე ობიექტი, როგორც კვალის კვალის წარმომქნელი, ისე კვალის მიმღებიც. მაგალითად, ხახუნის შედეგა დარჩენილი დინამიკური კვალი.

დინამიკურ კვალს მიეკუთვნება, მაგალითად: თხილამურებით სრიალის დროს წამოქმნილი ტხილამურების კვალი, სატრანსპორტო საშუალების საბურავის კვალი რომელიც დატოვებულია დამუხრუჭების მომენტში, ტყვიაზე დატოვებული კვალი ცეცხლსასროლი იარაღით გასროლის დროს და ა.შ. დინამიკური კვალი როგორც წესი ხაზობრივი კვალია, რომლის მოცულობა, სიღრმე და სიმაღლე სხვადასხვაა. დინამიკურ კვალს ტოვებს ის დეფექტები რაც გაჩნია კვალის წარმომქნელ ობიქტს.

იმის გამო, რომ დინამიკურ კვალში აისახება, როგორც წესი, ზოგადი და არა ინდივიდუალური და კერძო ნიშნები, ტრასოლოგიური ამოკვლევის პროცესში, სტატიკური კვალისგან განსხვავებით, მას ყოველთვის არა აქვს დიდი იდენტიფიკაციური მნიშვნელობა. ტრასოლოგიური გამოკვლევის დროს დინამიკურ კვალთან შედარებით იშვიათად გვაქვს საქმე. მაგრამ მისი გამოყენება იდენტიფიკაცირების მიზნებისათვის გმორიცხული არ არის, რადგან საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ კვალის წარმომქნელი ობიექტისზომასა და ფორმაზე, ზოგ შემთხვევაში კი მის ინდივიდუალურ ნიშნებზეც.

საკონტაქტო ზედაპირის ცვალებადობის მიხედვით ტრასოლოგიაში განასხვავებენ ლოკალურ და პერიფერიულ კვალს.

ლოკალურია კვალი, როდესაც იცვლება საკონტაქტო ზედაპირი, ე.ი. კვალის მიმღები ობიექტის ის ადგილი, რომელზედაც ზემოქმედება მოახდინა კვალის წარმომქნელმა ობიექტმა. ტრასოლოგიური გამოკვლევის დროს ყველაზე ხშირად საქმე გვაქვს ლოკალურ კვლებთან როგორებიცაა: ფეხის კვალი, სატრანსპორტო

საშუალებათა კვალი და ა.შ. პერიფერიულია კვალი, როდესაც იცვლება კვალის მიმღები ობიექტის არა საკონტქტო ზედაპირი, არამედ პერიფერია. მაგალითად: თოვლის მოსვლის ან წვიმის შემთხვევაში იცველბა არა ის ადგილი სადაც მანქანა იდგა ანუ უშუალოდ საკონტაქტო ზედაპირი, არამდ პერიფერია; მზის სხივების ზემოქმედების შედეგად იცვლება არა ის ადგილი საადც ბოთლი იდგა ქაღალდზე, არამედ პერიფერია.[57]

კვალის მიმღებ ობიექტზე ზემოქმედების სახის მიხედვით კვალი შეიძლება იყოს მექანიკური წარმოშობის, სითბური ან ქიმიური ზემოქმედების შედეგად მიღებული.

ტრასოლოგიური გამოკვლევის დროს შედარებით ხშირად გვაქვს საქმე ისეთ კვალთან, რომელიც წარმოშობილია მექანიკური ზემოქმედების შედეგად; დაწოლის, დავარდნის, გაბურღვის, გატეხის კვალი და ა.შ. სითბურ კვალს მიეკუთვნება ისეთები, რომლებიც წარმოიშვნენ ცხელი საგნების ან მზის სხივების ზემოქმედების შედეგად. ხოლო რაც შეეხება ქიმიური ზემოქმედების შედეგად წარმოქმნილ კალს მიეკუთვნება ისეთები, რომლებიც წარმოიშვებიან სხვადასხვა სახის ქიმიურ ნივთიერებათა ძემოქმედების შედეგად, როგორიცაა მაგალითად; დოკუმენტის ტექსტის ქიმიური წესით ამოშლის დროს და ა.შ.

ტრასოლოგიაში და საერთოდ დანაშაულთა გახსნის საქმეში და მისი თავიდან აცილებასტან მიმართებაში უფრო ხშირად გამოიყენება ხელისა და ფეხის კვალის კრიმინალისტიკური და ეს ბუნებრივიცაა, რადგან დანაშაულის ჩადენისა და მისი კვალის დაფარვის მიზნით პიროვნება მთელ რიგ მოქმედებებს ასრულებს უშუალოდ ხელისა და ფეხის მოძრაობებით, რა დროსაც იგი თავისდა უნებურად ტოვებს კვალს შემთხვევის ადგილზე.[58]

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ადამიანის მიერ დატოვებული კვალის გარდა: სისხლის ლაქა, თმის ღერი ან თითის ანაბეჭდი, როგორც წესი, საკმარის სამხილს წარმოადგენს პოლიციელთათვის დამნაშავის დასადგენად. ასეთი სახის სამხილები დანაშაულის ადგილას ყოველთვის გვხვდება, რადგან ნებისმიერი

---

[57] შ. ფაფიაშვილი, კრიმინალისტიკა (ზოგადი ნაწილი), თბ. 2013, გვ. 162

[58] შ. ფიცხელაური, სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებებისა და სპეციალური ცოდნის გამოყენების პრობლემა გამოძიების პროცესში (თეორია და პრაქტიკა), თბ. 2005, გვ.164

დამნაშავისათვის თითქმის შეუძლებელია დანაშაულის ჩადენისას რაიმე სახის კვალი მაინც არ დატოვოს. მიუხედავად იმისა, რომ მტვრის, სისხლის, საღებავისა და ბოჭკოვანი მასალის ნარჩენები მნიშვნელოვან სამხილს წარმოადგენს, გამომძიებლები ხშირად გამოუვალ სიტუაციაში ხვდებიან, თუ დანაშაული ხალხმრავალ ადგილას არის ჩადენილი. დიდი სიფრთხილეა საჭირო კრიმინალებისა და უდანაშაულო ადამიანების კვალის გასარჩევად. მიუხედავად იმისა, რომ უამრავ ცრუ სამხილს პოლიცია არასწორ კვალზე შეუძლია დააყენოს, სწორ და ხელჩასაჭიდ ერთადერთ სამხილსაც კი დანაშაულის გახსნა შეუძლია.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ ტრასოლოგიას, დღევანდელ რეალობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. რომ არა კრიმინალისტიკური ტექნიკის ეს დარგი, ალბათ შეუძლებელი იქნებოდა დანაშაულის გახსნა ან გაუხსნელი დანაშაულების მინიმუმადმე დაყვანა. რომ არა ტრასოლოგია და მისი კვლევის მეთოდები, არ იქნებოდა თითის ანაბეჭდების ძირეული გამოკვლევა და კვლევის შედეგების გამოყენება დანაშაულის გახსნის საქმეში. არანაირი კრიმინალისტიკური მნიშვნელობა არ ექნებოდა არც ფეხის კვლებს, ვინაიდან ტრასოლოგიის კვლევის მეთოდების გარეშე ვერ მოხერხდებოდა კვალთა ფიქსირება და გამოკვლევა იდენტიფიკაციისათვის.

ზოგჯერ კი დანაშაულის ადგილას, კვალის დატოვების ნაცვლად, დამნაშავემ შესაძლოა გაუცნობიერებლად საინდეტიფიკაციო ანუ ამოსაცნობი ნივთიერება მის ტანსაცმელზე აიკრას. ამ ყველაფრის აღმოჩენა და გამოკვლევა კი სწორედ ტრასოლოგიის დანიშნულებაა და სწორედ ამ მომენტში, შესაძლოა ვიღაც სადღაც სერიოზულ დანაშაულს ჩადიოდეს. დანაშაულის ადგილას დატოვებული ნებისმიერი, სულ მცირე, სამხილიც კი საკმარისია იმისათვის, რომ სამართალდამცავებმა კანონდამრღვევი დაადგინონ.

მკვლელობის საქმეების გამოძიებისას მნიშვნელობა ენიჭება დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ ფულსა და ფასეულობას. ფასეულობაში იგულისხმება ნებისმიერი ქონება, რომელსაც აქვს გარკვეული ღირებულება, მათ შორის ოქროს ნაწარმი, ასევე ვერცხლის, პლატინის, ბრინჯაოს და სხვა ძვირფასი ლითონის

ნაკეთობა ძვირფასი ქვებით ან თვლებით, ფასიანი ქაღალდები, ხელოვნების ნიმუშები, ანტიკვარიატი, სახლი, ავტომანქანა, ავეჯი და ა.შ., რომლებიც შეძენილია დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ფულით ან ქონების რეალიზაციით.[59]

ფული და ფასეულობა, რომლებიც დანასაულებრივი გზითაა მოპოვებული არ მიუთითებენ უშუალოდ დანაშაულის ჩადენის საშუალებებზე. მათი არსებობს არ ატავისუფლებს საგამოძიებო ორგანოებს დაამტკიცონ თვით დანაშაულის ფაქტი და მისი კავშირი შემდგომში შეძენილ ფასეულობასთან. ყოველივე ეს უნდა მოხდეს სხვა საგამოძიებო მოქმედებების საშუალებით. ასეთი ობიექტები ნივთიერი მტკიცებულებები ხდებიან მას შემდეგ, რაც დამტკიცდება დანაშაულებრივი გზით მათი მოპოვების ფაქტი, რაც გამყარებული იქნება სხვა მტკიცებულებებით.[60]

---

[59] ს. ჭელიძე, ნივთიერ მტკიცებულებათა არსი და მნიშვნელობა დანაშაულის გახსნის საქმეში. სამართალი, 2001. ნომერი5, გვ. 63

[60] ს. ჭელიძე, ნივთიერ მტკიცებულებათა გამოყენების პრობლემების მკვლელობის საქმეთა გამოძიების პროცესში, საკანდიდატო დისერტაცია, თბ. 2005, გვ. 59

2.4 ნივთიერ მტკიცებულებათა შეკრების, გამოკვლევისა და შეფასების პროცესუალური ასპექტები

გამოძიების პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ცალკეულ საგნებს ან მატერიალურ ობიექტებს, რომლებიც სწორედ მტკიცებულებითი ინფორმაციის წყაროს წარმოადგენენ. სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების პროცესი ოთხი ელემენტისაგან შედგება, რომელიც ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული. ესენია: 1. მტკიცებულებათა შეკრება, 2. საპროცესო დამაგრება, 3. შემოწმება, 4. შეფასება.

2.4.1 ნივთიერ მტკიცებულებათა შეკრების საპროცესო ხერხები და საშუალებები

მტკიცებულებათა შეკრების საკითხთან დაკავშირებით ერთგვაროვანი მოსაზრება არ არსებობს.

მტკიცებულებათა შეკრება ეს არის კომპლექსური ცნება, რომელიც მოიცავს მოქმედებებს, რომლებიც მიმართულია მტკიცებულებათა მოსაძებნად, აღმოსაჩენად და ამოსაღებად.[61]

---

[61] ს. ჭელიძე, ნივთიერ მტკიცებულებათა გამოყენების პრობლემების მკვლელობის საქმეთა გამოძიების პროცესში, საკანდიდატო დისერტაცია, თბ. 2005, გვ. 82

ნივთიერ მტკიცებულებათა შეკრების პირველი ეტაპია მოძებნა, რაც გულისხმობს ინფორმაციის მიღებას მათი ადგილსამყოფელის და ადგილმდებარეობის თაობაზე. ეს შესაძლებელია მოხდეს როგორც საპროცესო მოქმედების,ასევე ანონიმური ზარის საფუძველზეც. აღმოჩენას რაც შეეხება, იგი წარმოადგენს მტკიცების სუბიექტის მიერ კონკრეტული საგნის, ობიექტის, კვალის უშუალო აღქმას. ხოლო ნივთიერი მტკიცებულებების ამოღება გულისხმობს მტკიცების სუბიექტის მიერ მის მიღებას ანუ დაუფლებას. ძირითად შემთხვევებში იგი თან სდევს აღმოჩენას. მოძებნისაგან განსხვავებით, ნივთიერ მტკიცებულებატა ამოღება, მირება ყოველთვის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით უნდა განხორციელდეს.

მტკიცებულებათა შეკრების საშუალებები პირობითად შესაძლოა სამ ჯგუფად დაიყოს

1. საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებები
2. საგნებისა და დოკუმენტების გამოთხოვა
3. პროცესის მონაწილეთა მიერ მათი წარდგენა.

ნივთიერ მტკიცებულებათა შეკრების ძირითად საშუალებას ამათგან საგამოძიებო მოქმედებები წარმოადგენენ. ესენია დათვალიერება, ჩხრეკა და ამოღება, საგამოძიებო ექსპერიმენტი და სხვა. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით რეგლამენტირებულია საგამოძიებო მოქმედების ჩატარების წესები.[62]

საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას მხარეებს აქვთ თანაბარი უფლებამოვალეობანი. საგამოძიებო მოქმედებას დაცვის მხარის დასაბუთებული შუამდგომლობით ან სასამართლოს განჩინებით ატარებს გამომძიებელი, რომელიც არ შეიძლება იყოს ის პირი, რომელიც მოცემულ საქმეზე წარმოადგენს გამომძიებელს. გარდა ამისა, შესაძლებელია საგამოძიებო მოქმედება ჩატარედეს გამომძიებლის დადგენილების საფუძველზე.

[62] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბ. 2009, მუხლი 111, (ახ. რედ.)

საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს დანაშაულის კვალისა და ნივთიერ მტკიცებულებათა აღმოჩენის, ფიქსაციის და ამოღების მეცნიერულ ტექნიკური საშუალებები. თუ იგი განსაკუთრებულ ცოდნას მოითხოვს, მხარე მას ატარებს ექსპერტის მონაწილეობით. იმისათვის რომ გავიგოთ, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება გამოძიებაში საგამოძიებო მოქმედებებს განვიხილოთ ისინი უფრო ვრცლად.

დათვალიერება:საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსშ საუბარია ისეთი საგამოძიებო მოქმედებაზე, როგორიცაა, დათვალიერება. აღნიშნული წარმოადგენს დამოუკიდებელ მოქმედებას , რომლის მიზანია დანაშაულის კვალის და ნივთიერი მტკიცებულებების აღმოჩენა ან შემთხვევის ვითარებისა სისხლის სამართლის საქმიანობისთვის მნიშვნელოვანი სხვა გარემოებების გარკვევა.[63]

დათვალიერება მოიცავს შემთხვევის ადგილის, საცავის, სადგომის, სათავსოს, გვამის, საგნის, დოკუმენტის ან ინფორმაციის შემცველი სხვა დოკუმენტების დათვალიერებას. თუ დათვალიერება ეხება კერძო საკუთრებას, აუცილებელია სასამართლო განჩინება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მხარე დათვალიერებას გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ატარებს ან მესაკუთრე წერილობით გამოხატავს თანხმობას.[64]

შემთხვევის ადგილის დათვალიერება ერთ-ერთ უმნიშველოვანეს საგამოძიებო მოქმედებას წარმოადგენს, რომელიც შემდგომში განსაზღვრავს დანაშაულის გახსნის წარმატებას და კონკრეტული პირის ბრალეულობის დადგენას.[65]

შემთხვევის ადგილად მიიჩნევა ადგილი, ტერიტორია, სადაც მოხდა დანაშაული ან აღმოჩენილია მისი კვალი. ეს შეიძლება იყოს საცხოვრებელი ფართი, სამსახურებრივი სადგომი ან სხვა დახურული თუ ღია ტერიტორია.[66] დათვალიერების წარმოების უფლება აქვს გამომძიებელს და პროკურორს,

---

[63] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბ. მუხლი 125, (ახ.რედ.)

[64] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბ. მუხლი 126, (ახ. რედ.)

[65] ჯ. გახოკიძე, მ. მამნიაშვილი, ი. გაბისონია, საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, კერძო ნაწილი, თბ. 2013, გვ. 64

[66] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბ. 2009, მუხლი 127, (ახ. რედ.).

რომელთაც შეიძლება დამატებით მოიწვიონ სპეციალისტი, ექსპერტი, ეჭვმიტანილი, დამცველი, დაზარალებული და სისხლის სამართლის პროცესის სხვა მონაწილე.[67]

ზემოაღნიშნულ შემთხვევაში, ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორს სწორედ საგამოძიებო მოქმედების დროულად და სრულყოფილად ჩატარება წარმოადგენს. დათვალიერების ხარისხიანად ჩატარება ხელს უწყობს უტყუარ მტკიცებულებათა მოპოვებას, რომელიც შესაძლოა გამოძიების სწორად წარმართვის წინაპირობა გახდეს. გასათვალისწინებელია, რომ დროთა განმავლობაში ადგილზე არსებულიმტკიცებულიაბები შესაძლოა დაზიანდეს ან სრულად გაქრეს, რომლის გამოსწორება ხშირად შეუძლებელია.[68]

ერთ-ერთ მნიშვნელოვან საგამოძიებო მოქმედებად ასევე მიიჩნევა გვამის და ზოგადად, დოკუმენტების დათვალიერება. პირველის შემთხვევაში, გვამის გარეგნულ დათვალიერებას ახდენს მხარე და სასამართლო-სამედიცინო დარგის ექსპერტი. რაც შეეხება დოკუმენტის დავალიერებას, აქ იგულისხმება სხვადასხვა სახის დოკუმენტი, რომელიც დანაშაულის ჩადენის ადგილზე იქნება აღმოჩენილი. აღნიშნული დოკუმენტებს შეიძლება წარმოადგენდეს, საბანკო ამონაწერები, მინდობილობები, ხელშეკრულებები, რომელთაც დათვალირების ძირითად მიზანს მათი ავთენტურობის დადგენა, არსებულ საქმესთან კავშირი, დანაშაულის კვალის გამოვლენა წარმოადგენს.[69]

აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, შემთხვევის ადგილის დათვალიერების შედეგად აღმოჩენილი საგანი, დოკუმენტი თუ სხვა ნივთი შენახულ იქნას პირველად მდგომარეობაში და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული პროცედურების მიხედვით. გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული მასალები საქმის გამოძიების სწორად წარმართვის ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენს.

---

[67] ზ. მეიშვილი, ო. ჯორბენაძე, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, თბ. 2007, გვ 605

[68] ჯ. გახოკიძე, მ. მამნიაშვილი, ი. გაბისონია, საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, კერძო ნაწილი, თბ. 2013, გვ 66

[69] ჯ. გახოკიძის, მ. მამნიაშვილის, ი. გაბისონია, საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, კერძო ნაწილი, თბ. 2013, გვ. 72-73

ჩხრეკა და ამოღება: მტკიცებულებათა აღმოჩენისას ჩხრეკა და ამოღება უმნიშვნელოვანესი საგამოძიებო მოქმედებებია. მიუხედავად იმისა, რომ ამ ორ გამოძიებო მოქმედებას გარკვეული განმასხვავებელი ნიშნები აქვთ, მათი მიზანი და საფუძველი, ჩატარების წესები და სხვა პროცედურული საკითხები საპროცესო კოდექსის ერთი და იმავე მუხლებშია გათვალისწინებული.[70]

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს ამოღებისა და ჩხრეკის ჩატარების მიზნებსა და საფუძვლებს. კოდექსის 119-ე მუხლის მიხედვით, დასაბუთებული ვარაუდის არსებობის შემთხვევაში ამოღება და ჩხრეკა ტარდება იმ მიზნით, რომ აღმოჩენილ და ამოღებულ იქნეს სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელოვანი საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი.

ამოღება და ჩხრეკა წარმოადგენს იძულებითი ხასიათის საგამოძიებო მოქმედებებს. მათი მიზნები და ჩატარების პროცედურები ერთმანეთისგან დიდად არ განსხვავდება. ერთადერთი განმასხვავებელი ნიშანი ის არის , რომ ამოღების დროს საგამოძიებო ორგანომ იცის, თუ სად არის გამოძიებისთვის საჭირო საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი. ჩხრეკის შემთხვევაში კი, ჩვენთვის უცნობია საძებნი ობიექტი - საგანი ან დოკუმენტები.

გარდა ამისა ჩხრეკა ტარდება ძებნილის ან გვამის აღმოსაჩენად.

ჩხრეკის და ამოღების დაკავშირებულია საქართველოს კონსტიტუციის მეოცე მუხლით გატვალისწინებული მოქალაქეთათვის გარანტირებული პირადი ცხოვრების , მიმოწერის და სხვა პირადი უფლებათა დარღვევასთან, რის გამოც გამომძიებელი და პროკურორი ვალდებული არიან, ძალიან ფრთხილად მიუდგნენ ასეთ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარებას.

ჩხრეკისა და ამოღების ჩატარებისათვის აუცილებელია გვქონდეს იურიდიული და ფაქტობრივი საფუძველი.[71] იურიდიული საფუძვლის ცნებაში იგულისხმება ჩხრეკისა და ამოღების ჩატარების აუცილებლობის შესახებ სასამართლოს განჩინება ან

---

[70] ჯ. გახოკიძის, მ. მამნიაშვილის, ი. გაბისონია, საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, კერძო ნაწილი, თბ. 2013, გვ. 53-54

[71] შ. ფაფიაშვილი, კრიმინალისტიკა (ზოგადი ნაწილი), თბ. 2013, გვ. 446

გადაუდებელ შემთხვევებში გამომძიებლის დადგენილება, ხოლო ფაქტობრივი საფუძვლის ცნებაში იგულისხმება ის კონკრეტული მონაცემები, რომლებიც მიუთითებენ ამა თუ იმ ადგილზე გამოსაძიებელ საქმეზე მნიშვნელობის მქონე მატერიალური ფასეულობის, დანაშაულის კვალის, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის ან სხვა საგნისა და დოკუმენტის არსებობაზე და არსებობს მონაცემები, რომ ეს პირები მათ ნებაყოფლობით არ გადმოგვცემენ.

გამომძიებელს სასამართლო განჩინების, ხოლო გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში დადგენილების საფუძველზე უფლება აქვს საგნის, დოკუმენტის, ნივთიერებების ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის აღმოსაჩენად და ამოსაგებად, შევიდეს სადგომში, საცავში და ნებისმიერ საკუთრებაში. ამოღების და ჩხრეკის დაწყების წინ გამომძიებელი ვალდებულია განჩინება ან დადგენილება გააცნოს იმ პირს, რომელთანაც ტარდება ჩხრეკა ან ამოღება. გამომძიებელი პირს სთავაზობს ნებაყოფლობით გადასცეს გამოძიებისთვის საინტერესო საგანი, დოკუმენტი, ნივთიერებაა და ნებიემიერი ინფორმაციის შემცველი ობიექტი. იმშემთხვევაში თუ კონკრეტულინ პირს ნებაყოფლობით გადასცემს ნივთს, ეს ფაქტი ფიქსირედება საგამოძიებო ოქმში, ხოლო თუ პირი უარს აცხადებს ნებაყოფლობით გადაცემაზე, ამოღება ხდება იძულებით. ჩხრეკის პროცესში აუცილებელია ამოღებულ იქნეს ყველა მამხილებელი საგანი თუ ინფორმაცია, რომლებიც მიუთითებენ პირის მიერ დანაშაული ჩადენას.

ჩხრეკის წარმოებისას მიზანშეწონილია საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობა მიიღონ, როგორც კრიმინალისტებმა, ისე სხვადასხვა დარგის სპეციალისტებმა, რომლებიც შემდგომში დაეხმარებიან გამომძიებელს მტკიცებულებების აღმოჩენაში, ფიქსაციასა და დამაგრებაში.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, დასაშვებია ჩხრეკის ან ამოღების ადგილზე მყოფი პირის პირადი ჩხრეკა, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან დამალა აღნიშნული საგანი. ეს არის შემთხვევა, როდესაც პირადი ჩხრეკა ტარდება სასამართლო განაჩენის და

გამომძიებლის დადგინების გარეშე. ჩხრეკის და ამოღების კანონიერებას ამოწმებს მხოლოდ სასამართლო.

საგამოძიებო ექსპერიმენტი: დანაშაულის გახსნისა და მასზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის საქმეში სხვა საგამოძიებო მოქმედებებთან ერთად გარკვეული ადგილი უკავია საგამოძიებო ექსპერიმენტს. იგი საშუალებას გვაძლევს გამოსაძიებელ საქმეზე დავადგინოთ სხვადასხვა გარემოებები, რათა სწორად ავხსნათ დანაშაულის ჩადენის მექანიზმი.

საგამოძიებო ექსპერიმენტის მომზადებისა და ჩატარების წესები რეგლამენტირებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით.[72]

კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში არსებობს აზრთა სხვადასხვაობა საგამოძიებო ექსპერიმენტის ცნებისა და მიზნის შესახებ და ეს დავა დღესაც გრძელდება. კრიმინალისტთა და პროცესუალისტთა უმრავლესობა საგამოძიებო ექსპერიმენტში ხედავს საქმეზე მიღებული მონაცემების შემოწმებასა და დაზუსტების მიზნით შემთხვევის გარემოებისა და ვითარების აღდგენას.[73]

ექსპერიმენტი ლათინური სიტყვაა და ნიშნავს ცდას. საგამოძიებო ექსპერიმენტი ტარდება იმისათვის, რომ შემოწმდეს

1. მიღებული ინფორმაცია
2. გამოძიების პროცესში წარმოშობილი ვერსიები.

საგამოძიებო ექსპერიმენტში მონაწილეობის მისაღებად შეიძლება მოწვეულ იქნას ექსპერტი და აგრეთვე სხვა პირები.

საგამოძიებო ექსპერიმენტის მიზანს წარმოადგენს არამხოლოდ ინფორმაციის მიღება და მტკიცებულებების შემოწმება, არამედ ახალი მტკიცებულებების მიღებაც. თუ საგამოძიებო ექსპერიმენტი ტარდება გამოსაკვლევი გარემოების აღდგენისათვის, ის უნდა შეესაბამებოდეს შესამოწმებელ იფორმაციას.

უმნიშვნელოვანესია, რომ საგამოძიებო ექსპერიმენტი მაქსიმალურად იყოს მიახლოვებული იმ ვითარებასთან, რომელშიც ხდებოდა აღსადგენი შემთხვევა.

---

[72] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბ. 2009, მუხლები 129,130, (ახ. რედ.)
[73] შ. ფაფიაშვილი, კრიმინალისტიკა (ზოგადი ნაწილი), თბ. 2013, გვ.489

მაგალითად, ამინდი, განათება, ტემპერატურა, ხილვადობა და სხვა მაქსიმალურად უნდა იყოს მიახლოვებული ვითარებას.[74]

თუ საგამოძიებო ექსპერიმენტი ტარდება ინფორმაციის ადგილზე შემოწმების მიზნით, მხარე საგამოძიებო მოქმედების ყველა მონაწილის ტანდასწრებით კითხულობს შესამოწმებელ ინფორმაციას და სტავაზობს ინფორმაციის მიმცემ პირს, დაადასტუროს ან დააზუსტოს მიცემული ინფორმაცია, რასაც თან ახლავს გარკვეულ მოქმედებათა დემონსტრირება და მის მიერ მიცემული ინფორმაციის დაზუსტება. აგრეთვე დაუშვებელია რამდენიმე პირის ინფორმაციის ერთდროულად ადგილზე შემოწმება. პირი, რომლოის ინფორმაციაც ადგილზე მოწმდება, განმარტებას იძლევა სხვათა ჩაურევლად , კარნახისა და პასუხის მიმანიშნებელი კითხვების გარეშე.[75]

მოცემული საგამოძიებო მოქმედების ნებისმიერ მონაწილეს აქვს უფლება დასვას შეკითხვები, მოითხოვოს ამა თუ იმ მოქმედების გამეორება და აგრეთვე მიაპყროს გამომძიებლის ყურადღება სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებებზე.

2.4.2 ნივთიერ მტკიცებულებათა შეფასება და ბედის განსაზღვრა

მტკიცების პროცესის ყველაზე რთულ და საპასუხისმგებლო პროცესს წარმოადგენს მტკიცებულებათა შეფასება, რადგან შეფასებულ უნდა იქნას არამარტო თითოეული მტკიცებულება, არამედ მათი ერთობლიობაც. ამ საკითხის თაობაზეც იურიდიულ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა.

მტკიცებულებების შეფასება მჭირდო კავშირშია მათ შემოწმებასთან. პ.პაშეკევიჩი წერს, „მტკიცებულება - ესე იგი განვსაზღვროთ, რამდენად ზუსტად არის დადგენილი თითოეული მათგანი, რამდენად არის კავშირში საქმესთან და სხვა მტკიცებულებებთან, საქმისათვის რომელ მნიშვნელოვან ფაქტს ადასტურებს ან

[74] მ. ლომსაძე, სისხლის სამართლის პროცესი, მე-6 გამოცემა, თბ. 2016, გვ. 152

[75] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბ. 2009, მუხლი 130, ნაწილი 5 და 6, (ახ. რედ.)

უარყოფს იგი და მას ნიშნავს საქმეზე შეკრებილი ყველა მტკიცებულება ერთობლიობაში.“

მტკიცებულებათა შეფასება წარმოადგენს მტკიცების სუბიექტის აზრობრივ შემეცნებით საქმიანობას, რომელიც ეფუძნება აზროვნების ობიექტურ კანონზომიერებებს და გამოიხატება საქმეში არსებული მონაცემების დასაშვებობისა და შესახებობის, ნამდვილობისა და საკმარისობის განსაზღვრაში, რათა მიღებული იყოს შესაბამისი გადავწყვეტილება.[76]

ზოგიერთი მეცნიერი შეფასებას საერთოდ გამორიცხავს მტკიცების პროცესიდან. მათი აზრით „მტკიცებულებათა შეფასება- დამოუკიდებელი პროცესუალური კატეგორიაა, რომელიც იმყოფება მტკიცების ფარგლებს გარეთ. შეფასება კი მისი აზრით, წარმოადგენს ლოგიკურ საქმიანობას, რომელსაც იურიდიული კანონი, თავისთავად, ვერ დაარეგულირებს.“[77]

ყველაზე სრულყოფილ და მართებულ განსაზღვრებას მტკიცებულებათა შეფასების თაობაზე, აკეთებს მ.მ.გროძინსკი, „მტკიცება, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენს საქმესთან კავშირში მყოფ მტკიცებულებათა წყაროების შეკრებას და მათგან შესაბამის მტკიცებულებით ფაქტებზე ცნობების მოპოვებას. ამავდროეულად, წარმოებს აღნიშნული წყაროების შეფასება, მათგან ცნობების მნიშვნელობის განსაზღვრა. ამასთან, მტკიცებულებათა შეფასება არ ამოიწურება საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებათა წყაროსა და მტკიცებულებითი ფაქტების მნიშვნელობის დადგენით, არამედ მოიცავს ასევე საბოლოო დასკვნების შეფასებას, გაკეთებულს სასამართლოს მიერ. ამ დროს წყდება საკითხი, არის ეს დასკვნები ნამდვილი თუ სავარაუდო. მტკიცება წარმოადგენს მთელი პროცესუალური საქმიანობის ძირითად შინაარს, ხოლო მისი უმთავრესი და დამამთავრებელი ეტაპი კი არის მტკიცებულებათა შეფასება.“

---

[76] ს. ჭელიძე, ნივთიერ მტკიცებულებათა გამოყენების პრობლემების მკვლელობის საქმეთა გამოძიების პროცესში, საკანდიდატო დისერტაცია, თბ. 2005, გვ. 123

[77] იქვე

ზოგიერთი პროცესუალისტი კი ფიქრობს,რომ მტკიცებულებისა და მისი წყაროს შემოწმება წინ უსწრებს მათ გამოკვლევასა და შეფასება და აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს.

შეფასება მოიცავს მტკიცების მთელ პროცესს, რაც თან ახლავს სუბიექტის ყველა მოქმედებას, რომლებიც მიმართულია მტკიცებულებათა შეკრებისა და შემოწმებისაკენ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 82-ე მუხლის თანახმად: „მტკიცებულება უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი რელევანტურობის, დასაშვებობისა და უტყუარობის თვალსაზრისით."

მტკიცებულების რელევანტურობა ეხება მის შინაარს და გულისხმობს მის კავშირს საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებებსა და ფაქტებთან, მტკიცების საგანში შემავალი გარემოებების არსებობა-არარსეობაზე.[78] აგრეთვე, რელევანტურობის მოთხოვნა გათვალისწინებულ უნდა იქნეს როგორც სასამართლოს, ასევე მხარეების მიერ მტკიცებულებათა მოპოვების და შემოწმების მიზნით სხვადასხვა სახის შუამდგომლობის დაყენების, გასაჩივრების და საპროცესო გადაწყვეტილების მიღებისას.[79]

რელევანტურია ნებისმიერი მტკიცებულება, რომელიც მიუთითებს სისხლის სამართლის საქმის მნიშვნელობან ფაქტებზე, გარემოაებასა და ვარაუდზე, არ აქვს მნიშვნელობა ეს მითითება პირდაპირი იქნება თუ ირიბი.

ნივთიერ მტკიცებულებათა უტყუარობას რაც შეეხება - ეს იმას ნიშნავს, რომ მასში არსებული ფაქტობრივი მონაცემები არის დასაბუთებული და მათი ნამდვილობა არ იწვევს არანაირ ეჭვს. უპირველეს ყოვლისა მტკიცებულებათა უტყუარობის შეფასებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს, თუ რა პროცესუალური საშუალებით მოხდა მათი შეფასება და დაცული იყო თუ არა კანონით დადგენილი ყველა წესი. აქვე ისიც უნდა გავითვალოსწინოთ, რომ პროცესუალური ფორმის დაცვა

[78] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგ. ავტ. კოლექტივი, თბ., 2015, გვ. 293
[79] იქვე, გვ.293

ავტომატურად არ უზრუნველყოფს მიღებული მონაცემების უტყუარობას, არამედ ქმნის ამისათვის ხელსაყრელ პირობებს.[80]

საქართველოს კანონმდებლობით, „გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა."[81] აუცილებელია საქმეში არსებული მტკიცებულებები მიუთითებდნენ ერთი და იმავე გარემოებებზე და არ არსებობდეს არსებითი ხასიათის წინააღმდეგობა არსებულ მტკიცებულებებს შორის.

თუ როგორ და რა პირობებში უნდა მოხდეს ნივთიერი მტკიცებულებების შენახვა განისაზღვრება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით- „ნივთიერი მტკიცებულება ინახება ისეთ პირობებში, რომელიც გამორიცხავს მის დაკარგვას და მისი თვისებების შეცვლას."

ნივთიერი მტკიცებულებების შენახვაზე გამოძიების პროცესში ის მხარეა პასუხისმგებელი, რომელმაც მოიპოვა მოცემული მტკიცებულება და სწორედ მან უნდა უზრუნველყოს მისი უსაფრთხო პირობებში შენახვა. თუ სისხლის სამართლის საქმე იგზავნება სასამართლოში, მხარე იღებს გადაწყვეტილებას ნივთიერი მტკიცებულების სასამართლოში გადაგზავნის მიზაშეწონილობის შესახებ. გარდა ამისა, სისხლის სამართლის კოდექსის 79-ე მუხლი განსაზღვრავს ზოგიერთი მტკიცებულების შენახვის სპეციალურ წესს, კერძოდ „ძვირფასი ლითონები, ქვები, (თვლები), ფულის ნიშნები, ობლიგციები და სხვა ფასიანი ქაღალდები, თუ მათ ინდივიდუალურ ნიშნებს მტკიცებულების მნიშვნელობა არ აქვს, უნდა იქნეს შენახული საბანკო დაწესებულებაში." აქედან არის გამონაკლისი შემთხვევა , როცა მათ ინდივიდუალურ ნიშნებს მტკიცებულების მნიშვნელობა აქვს. იმ შემთხვევაში თუ ფული წარმოადგენს დანაშაულის საგანს, იგი უნდა შეინახონ საბანკო დაწესებულებაში, მაგრამ თუ მასზე დატოვებულია ადამიანის თითის კვალი, სისხლის ან სხვა რაიმე კვალი, მისი შენახვა უნდა მოხდეს პროცესის მწარმოებელ ორგანოში.

---

[80] ს. ჭელიძე, ნივთიერ მტკიცებულებათა გამოყენების პრობლემების მკვლელობის საქმეთა გამოძიების პროცესში, საკანდიდატო დისერტაცია, თბ. 2005, გვ

[81] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბ. 2009, მუხლი 82, (ახ.რედ.)

კვლევის შედეგები

ჩემს მიერ წარმოდგენილი ნაშრომის მთავარ მიზანს წარმოადგენდა, ნივთიერ მტკიცებულებათა სახეების ანალიზი და მიმოხილვა ქართული სისხლის სამართალწარმოების მიხედვით. ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო, რომ საქართველოს კანონმდებლობა ნივთიერი მტკიცებულებების განხრით ნამდვილად შეესაბამება საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს. მაგრამ როგორი დახვეწილიც არ უნდა იყოს კანონმდებლობა ამა თუ იმ საკითხში, მაინც შესაძლებელია მასში ხარვეზის აღმოჩენა, რომელიც აღმოფხვრას საჭიროებს.

ნაშრომის დასაწყისში განვიხილეთ მტკიცებულებათა ცნება და სახეები. მიუხედავად იმისა, რომ მტკიცებულება სისხლის სამართლის პროცესში უდიდესი მონაპოვარია და მასზე აგებულია მთელი საქმის გამოძიების ბედი, დღესდღეისობით იურიდიულ ლიტერატურაში არ არსებობს ერთიანი პოზიცია მტკიცებულებებს სახეებად კლასიფიკაციის თაობაზე და ეს ხარვეზი რჩება ლიტერატურაში. კვლევის შედეგად მოხდა მტკიცებულებათა ძირითადი სახეების გამოკვლევა და ანალიზი. დანაშაულის გახსნისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება გამოძიების პროცესში აღმოჩენილ ყველა მტკიცებულებას და მათ სხვადასხვა საქმეში გარდატეხის მოხდენა შეუძლიათ. მტკიცბულებები აუცილებელია კავშირში იყვნენ არა მხოლოდ დანაშაულებრივ მოვლენასთან, არამედ გამოძიების დროს დასამტკიცებელ ნებისმიერ ფაქტთან. მაგრამ სამწუხაროდ ასეთი კავშირის კონკრეტული ფორმები არაა საკმარისად შესწავლილი და საჭიროებს შემდგომ კვლევასა და განვითარებას.

ცნობები, რომელთაც გააჩნიათ მტკიცებულებითი ხასიათი დაკავშირებულნი არიან მათი მიღების წყაროსთან. მტკიცებულებები მუდმივ ურთიერთდამოკიდებულებაში არიან წარმოშობის წყაროსთან თავისი შინაარსითა და ფორმით. შინაარსს წარმოადგენენ და ქმნიან ის მონაცემები და ცნობები,

რომლებსაც გამოსაძიებელ საქმესთან აქვთ ურთიერთობა, ხოლო წყაროს კი ფორმა, რომელშიც მოცემულია ეს ცნობები. ხშირია შემთხვევები, როდესაც დამნაშავე ან სხვა პირის მოქმედების შედეგად მტკიცებულებამ შესაძლოა დაკარგოს ძირითადი თვისებები. მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ სამყაროში უკვალოდ არ ქრება არცერთი საგანი, ყოველთვის რჩება რაიმე სხვა მატერიალური ობიექტი და შემდგომში ისიც შეიძლება გახდეს ნივთიერი მტკიცებულება, თუ მისი გადანდგურების ფაქტი ქმნის დანაშაულის შემადგენლობის ელემენტს ან მტკიცებულებით ფაქტს.

კვლევის შედეგად დავადგინეთ, რომ არსებობს უამრავი ქართული თუ უცხოური ვრცელი ლიტერატურა მტკიცებულებათა შესახებ, მაგრამ მიუხედავად ამისა, მეცნიერთა აზრი მტკიცებულებებთან დაკავშირებულ არსებით საკითხებზე მნიშვნელოვნად განხვავდება. მაგრამ არსებობს საკითხები, რომელზეც ქართულ კანონმდებლობაში მცირე ინფორმაცია გვაქვს. ასეთია მაგალითად მტკიცებულებათა დასაშვებობის პრობლემა.

ნაშრომში განისაზღვრა მტკიცებულებების სრულყოფილი აღმოჩენის, დაფიქსირებისა და გამოკვლევის როლი სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის საქმეში. არც ერთ ნივთიერ მტკიცებულებას არ აქვს მნიშვნელობა, თუ არ მოხდა მათი დროული აღმოჩენა და იმის განსაზღვრა თუ რა კავშირშია მოცემული მტკიცებულება საქმესთან.

წარმოდგენილ ნაშრომში მოვახდინეთ ნივთიერ მტკიცებულებათა შეკრების საპროცესო ხერხები და საშუალებების ანალიზი. მტკიცებულებათა შეკრება გახლავთ კომპლექსური ცნება, რომელიც მოიცავს ყველა იმ მოქმედებას, რომელიც მიმართულია მტკიცებულებათა მოსაძებნად, აღმოსაჩენად და ამოსაღებად. მტკიცებულებების შეკრების დროს უმთავრესია მათი მოძებნა და შემდგომ საგამოძიებო მოქმედებების საშუალებით მათი ამოღება, რის შემდეგაც ხდება მათი დანაშაულთან კავშირის გამოკვლევა და ბედის განსაზღვრა.

ნაშრომში მიმოხილულია როგორც საგამოძიებო მოქმედებების როლი სისხლის სამართალწარმოებაში, აგრეთვე მისი ცალკეული სახეები, რომლებსაც განუზომელი

ადგილი უკავიათ საქმისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებების აღმოჩენაში. ამისათვის აუცილებელია მეცნიერულ ტექნიკური საშუალებების გამოყენება. თუ იგი განსაკუთრებულ ცოდნას მოითხოვს, მხარე მას ატარებს ექსპერტის მონაწილეობით. საგამოძიებო მოქმედებების შედეგები საშუალებას აძლევს საგამოძიებო ორგანოებს დადგინდეს დანაშაულის ჩადენის მექანიზმი და განისაზღვროს იმ მტკიცებულებათა წრე, რომელთა აღმოჩენაც აუცილებელი იქნება სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად.

ჩვენდა სამწუხაროდ, პრაქტიკაში ცალკეული საგამოძიებო მოქმედებები, რომლის მიზანსაც წარმოადგენს ნივთიერ მტკიცებულებათა შეკრებას და შემოწმებას, ტარდება ზედაპირულად, არ ხდება სიღრმისეული გამოკვლევა იმისა, თუ რა შეიძლება გამოირკვეს აღმოჩენილი საქნებისა და საგანზე დარჩენილი კვლების მეშვეობით.

მტკიცება არ წარმოადგენს მხოლოდ პროცესუალურ საქმიანობას, არამედ შემოქმედებითი პროცესიცაა, რომელიც არ მიმდინარეობს წინასწარ დადგენილი ფორმულის მიხედვით. ნაშრომში გამოკვეთილია საგამოძიებო ორგანოების განსაკუთრებული როლი და მნიშვნელობა საქმეზე ჭეშმარიტების დადგენაში. მტკიცებულებებთან მუშაობისას გამომძიებლის ლოგიკურ აზროვნებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. მან საჭიროა გამოავლინოს პირადი თვისებები, პროფესიონალური ცოდნა, ინიციატივა, შემეცნების უნარი, გამოცდილება და სხვა. ზემოთჩამოთვლილი ყველა თვისება ეხმარება გამომძიებელს მტკიცებულებები ლოგიკურად დააკავშიროს ერთმანეთს, აღადგინოს დანაშაულის ცალკეული ეპიზოდები და გააკეთოს ლოგიკური დასკვნები გამოსაძიებელ საქმესთან დაკავშირებით.

მტკიცების პროცესის ყველაზე რთულ და საპასუხისმგებლო პროცესს წარმოადგენს მტკიცებულებათა შეფასება, რადგან შეფასებულ უნდა იქნას არამარტო თითოეული მტკიცებულება, არამედ მათი ერთობლიობაც. ნაშრომში ნათლადაა წარმოჩენილი მტკიცებულებათა შეკრების, გამოკვლევისა და შეფასების პროცესიალური ასპექტები. ამ საკითხის თაობაზეც იურიდიულ ლიტერატურაში

აზრთა სხვადასხვაობაა და ერთიანი აზრი არ არსებობს, მაგრამ შევეცადე ამ საკითხებთან დაკავშირებული ყველა ასპექტი ფართოდ განმეხილა.

კვლევის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მტკიცებულებების ყველა სახე სისხლის სამართალწარმოებაში უდიდეს როლს თამაშობს. ნივთიერი მტკიცებულებების მნიშვნელობა უსაზღვროა. კრიმინალისტიკური ტექნიკის განვითარებასთან ერთად ბოლო წლების მანძილზე ნივთიერი მტკიცებულებების როლი იზრდება. კრიმინალისტიკური ტექნიკის სიახლეები საშუალებას იძლება უფრო ეფექტურად და სრულყოფილად მოხდეს მტკიცებულებათა მოძებნა, ამორება, ფიქსირება და გამოკვლევა. უფრო მეტი თანამედროვე ტექნიკური საშუალებების პრაქტიკაში დანერგვა და შემდგომ საგამოძიებო ორგანოების მიერ მათი სწორად გამოყენება მოგვცემს საშუალებას, არ დარჩეს უყურადღებოდ არცერთი საქმისათვის მნიშვნელოვანი დეტალი და დროულად მოხდეს დანაშაულის გახსნა.

დასკვნა

ჩვენს მიერ წარმოდგენილი ნაშრომით შევეცადეთ ამომწურავი ინფორმაცია მოგვეძიებინა და სრულყოფილად წარმოგვეჩინა მტკიცებულებათა როგორც ცნება და სახეები, ასევე მათი როლი სისხლის სამართლის პროცესში. მიმოვიხილეთ ცაკლეული მტკიცებულებები, აგრეთვე ნივთიერ მტკიცებულებათა ცნება და სახეები. თემის დამუშავების პროცესში დიდი ყურადღება დავუთმეთ ნივთიერ მტკიცებულებათა შეკრების, გამოკვლევისა და შეფასების პროცესუალურ ასპექტებს. ამ საკითხის სრულად ჩამოყალიბებისათვის კი გავაკეთეთ საგამოძიებო მოქმედებების ანალიზი.

მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართალწარმებაში არცერთ მტკიცებულებას არ გააჩნია წინასწარ დადგენილი ძალა და თითოეული მათგანის ბედის განსაზღვრაც წინასწარ შეუძლებელია. საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს და კრძალავს ყოველგვარ მტკიცებულებათა სახეების იერარქიას. ყოველ მტკიცებულებას აქვს ერთნაირი ძალა მანამ, სანამ მხარე მას სათავისოდ არ გამოიყენებს. საქმის გამოძიების პროცესში ხშირია რომელიმე მხარის მიერ მტკიცებულებისათვის წინასწარ დადგენილი უპირატესობის მინიჭება თუნდაც მისი შინაარსიდან გამომდინარე. სწორად და სამართლიანად მიმაჩნია ის

ფაქტი,რომ დაუშვებელია მტკიცებულების როგორც უნდობლობა, ასევე გადაჭარბებული შეფასება. უნდა მოხდეს მათი თანაბრად შეფასება და აღნიშნული არ გამორიცხავს ცალკეული მტკიცებულების მტკიცებითი ძალის გათვალისწინების შესაძლებლობას.

სისხლის სამართლის პროცესში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება და საკმაოდ აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხი. საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებზეა დამოკიდებული თუ რა შედეგით შეიძლება დასრულდეს საქმე – გამოტანილ იქნება გამამართლებელი თუ გამამტყუნებელი განაჩენი. ჩემი აზრით, სისხლის სამართლის საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში უფრო დიდი ყურადღება უფრო დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს თითოეული მტკიცებულების შეფასებას, რადგან მას შეიძლება მიენიჭოს გადამწყვეტი მნიშვნელობა და მხარისათვის გამოუსწორებელი შედეგი გამოიწვიოს. ამიტომ უდიდესი სიფრთხილით უნდა მოხდეს უკლებლივ ყველა მტკიცებულების შეფასება არამხოლოდ ინდივიდუალურად, არამედ სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში.

შესაძლებელია დანაშაულის გახსნა და მათი გაუხსნელობის მინიმუმამდე დაყვანა, თუ ოპერატიულად, შესაბამისი სამეცნიერო–ტქნიკური საშუალებების გამოყენებით შევძლებთ დანაშაულის გახსნის ხელისშემშლელი სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების აღმოფხვრას. დანაშაულებრივი ფაქტის შემთხვევის ადგილას უამრავი სახის კვალთან გვაქვს საქმე, ამიტომ საჭიროა მათი სისტემაში მოყვანა და კლასიფიკაცია გარკვეული ნიშნის საფუძველზე, რაც აადვილებს მათ ფიქსირებასა და გამოკვლევას. ამავე დროს საჭიროა და აუცილებელიც, რომ კვალი იყოს საკმარისი და ვარგისი გამოკვლევისათვის, რაშიც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სხვადასხვა სამეცნიერო-ტექნიკურ საშუალებებს, რომლებიც მუდამ ვითარდება.

გვერდს ვერ ავუვლით იმ ფაქტს, რომ ტექნიკური მოწყობილობების განვითარების დონით, ჩვენდა სამწუხაროდ, ჩამოვრჩებით მსოფლიოს წამყვან ქვეყნებს. კარგი იქნება, თუ კრიმინალისტიკური ტექნიკის განვითარებას ავუწყობთ ფეხს, რაც საშუალებას მოგვცემს უფრო სრულყოფილად და ეფექტურად

მოვახდინოთ მტკიცებულებათა მოძებნა, ამოღება და გამოკვლევა. საჭიროა უფრო მეტი თანამედროვე ტექნიკური საშუალებების ქართულ პრაქტიკაში დანერგვა, რაც საგამოძიებო ორგანოებს მნიშვნელოვნად დაეხმარება და საშუალებას მისცემს არ დარჩეთ უყურადღებოდ საქმისათვის მნიშვნელოვანი არცერთი დეტალი.

საკვლევი თემის მნიშვნელვან საკითხს წარმოადგენდა ასევე საგამოძიებო ღონისძიებები. ნაშრომში მიმოვიხილეთ როგორც საგამოძიებო მოქმედებების როლი სისხლის სამართალწარმოებაში, აგრეთვე მისი ცალკეული სახეები, რომლებსაც განუზომელი ადგილი უკავიათ საქმისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებების აღმოჩენაში. ამ შემთხვევაშიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს მეცნიერულ–ტექნიკური საშუალებების გამოყენება. საგამოძიებო მოქმედებების შედეგები საშუალებას აძლევს საგამოძიებო ორგანოებს დადგინდეს დანაშაულის ჩადენის მექანიზმი და განისაზღვროს იმ მტკიცებულებათა წრე, რომელთა აღმოჩენაც აუცილებელი იქნება სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად. ამიტომ მათი როლი უმნიშვნელოვანესია. მაგრამ სამწუხაროდ, პრაქტიკაში გვხვდება საგამოძიებო მოქმედებები, რომლის მიზანსაც წარმოადგენს ნივთიერ მტკიცებულებათა შეკრება და შემოწმებას, ისინი ტარდება ზედაპირულად, არ ხდება სიღრმისეული გამოკვლევა იმისა, თუ რა შეიძლება გამოირკვეს აღმოჩენილი საქნებისა და საგანზე დარჩენილი კვლების მეშვეობით. ესეც წარმოადგენს მნიშვნელოვან პრობლემას და კარგი იქნებოდა საგამოძიებო ორგანოებმა უფრო მეტი ყურადღება დაუთმონ მოცემულ საკითხს.

საბოლოო დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მტკიცებულებების ყველა სახე სისხლის სამართალწარმოებაში უდიდეს როლს თამაშობს და ნივთიერი მტკიცებულებების მნიშვნელობა უსაზღვროა. მათი კანონმდებლობის სრული დაცვით მოძებნა, ამოღება, ფიქსირება და გამოკვლევა საშუალებას მოგვცემს დროულად და ეფექტურად მოხდეს დანაშაულის გახსნა.

გამოყენებული ლიტერატურა

მონოგრაფიები:

1. გახოკიძე ჯ., მამნიაშვილი მ., გაბისონია ი., საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი (კერძო ნაწილი), თბ., 2013;

2. გოგნიაშვილი ნ., სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები, მე-2 გამოცემა, თბ., 2009;

3. გოგშელიძე რ., ფალიაშვილი ა., კრიმინალისტიკა, თბ., 2009;

4. თუმანიშვილი გ., სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2014;

5. ლომსაძე მ., გამოძიების პროცესუალური დოკუმენტების ნიმუში (ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით), მესამე გამოცემა, თბ., 2013;

6. ლომსაძე მ., ექსპერტიზის დანიშვნის საფუძველი, სახეები და ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები გამოძიების პროცესში, თბ., 2016;

7. ლომსაძე მ., სისხლის სამართლის პროცესი, მე-6 გამოცემა, თბ., 2016;

8. მეიშვილი ზ., ჯორბენაძე ო., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, თბ., 2007;

9. ნაჭყებია გ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2011;

10. ტორვალდი ი., კრიმინალისტიკის ასი წელი, თბ., 1978;

11. ფალიაშილი ა., კრიმინალისტიკა, თბ., 2000;

12. ფაფიაშვლი შ., კრიმინალისტიკა (ზოგადი ნაწილი), თბ., 2013;

13. ფაფიაშვილი შ., დაქტილოსკოპია და მისი როლი დამნაშავეობასთან ბრძოლის საქმეში, თბ., 1999;

14. ფიცხელაური შ., სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებებისა და სპეციალური ცოდნის გამოყენების პრობლემა გამოძიების პროცესში (თეორია და პრაქტიკა), თბ., 2005;

15. ქოჩიაშვილი ა., პირველადი გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებანი, თბ., 2001;

16. ჩომახაშვილი ქ., და სხვები, მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2016;

17. ჩხეიძე ი., მტკიცებულებათა დასაშვებობის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2010;

18. ჭელიძე ს., ნივთიერ მტკიცებულებათა გამოყენების პრობლემები მკვლელობის საქმეთა გამოძიების პროცესში, საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 20054;

19. ხარაზიშვილი ბ., მტკიცებითი სამართალი, გამომც., თსუ. თბ., 1982;

უცხოური ლიტერატურა:

20. Robert M. Pitler, „The Fruit of the Poisonous Tree Revisited and Shepardized”,

California Law Review;

21. Сырков С.М. Орудия преступления. Авт. дис. канд. юр. наук. Ленинградю.,1937;

22. Свенсон А., Вендель О. Раскритие преступлении. Современные методы расследования уголовных дел. М., 1957;

23. Плескачевский В.М. Оружия в криминалистике – понятие и классификацияю изд. ‘’Спарк’’. М.,2001;

ნორმატიული აქტები:

24. საქართველოს კონსტიტუცია, 1995, (2019 წლის მდგომარეობით);

25. სისხლის სამართლის პროცესი, რ. გოგშელიძის რედ., თბ., 2008;

26. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, რომი 1950 წლის 4 ნოემბერი;

27. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 1948;

28. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009, (ახ. რედ.);

29. საქართველოს ორგანული კანონი პროკურატურის შესახებ, 2018 წლის 30 ნოემბერი;

30. საქართველოს კანონი „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ, თბ. 1999, (ახ. რედ.);

31. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგ., ავტ. კოლექტივი, თბ., 2015;

ვებ. გვერდები:

32. www.mimomxilveli.wordpress.com

33. www.alfg.ge

34. www.resources.lawinfo.com

35. www.supremecourt.ge